

**ESRS E1**  
**კლიმატის ცვლილება**

**შინაარსი**

---

**მიზანი**

ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

- ESRS 2 - ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

**მმართველობა**

- ESRS 2 GOV-3-თან - „მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში“ - დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

**სტრატეგია**

- გამჟღავნების მოთხოვნა E1-1 - კლიმატის ცვლილების შერბილების გარდამავალი გეგმა
- ESRS 2 SBM-3-თან - „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ - დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

**ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა**

- ESRS 2 IRO-1-თან - „კლიმატთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა
- E1-2 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული პოლიტიკები
- E1-3 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების პოლიტიკებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

**მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები**

- E1-4 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები
- E1-5 გამჟღავნების მოთხოვნა - ენერჯის მოხმარება და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურა
- E1-6 გამჟღავნების მოთხოვნა - მთლიანი 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიების გაფრქვევები და სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად
- E1-7 გამჟღავნების მოთხოვნა - ნახშირბადის კრედიტებით დაფინანსებული სათბურის აირების მოცილებისა და სათბურის აირების გაფრქვევების შერბილების პროექტები
- E1-8 გამჟღავნების მოთხოვნა - ნახშირბადის შიდა ფასწარმოქმნა
- E1-9 გამჟღავნების მოთხოვნა - არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობები

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

**სტრატეგია**

- გამჟღავნების მოთხოვნა E1-1 - კლიმატის ცვლილების შერბილების გარდამავალი გეგმა

**ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა**

- E1-2 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული პოლიტიკები

- E1-3 გამყლავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების პოლიტიკებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- E1-4 გამყლავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები
- E1-5 გამყლავნების მოთხოვნა - ენერჯის მოხმარება და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურა
- E1-6 გამყლავნების მოთხოვნა - მთლიანი 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიების გაფრქვევები და სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად
- E1-7 გამყლავნების მოთხოვნა - ნახშირბადის კრედიტებით დაფინანსებული სათბურის აირების მოცილებისა და სათბურის აირების გაფრქვევების შერბილების პროექტები
- E1-8 გამყლავნების მოთხოვნა - ნახშირბადის შიდა ფასწარმოქმნა
- E1-9 გამყლავნების მოთხოვნა - არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობები

## მიზანი

---

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია დეტალურად განსაზღვროს *გამჟღავნების* ის *მოთხოვნები*, რომელიც *მდგრადობის ანგარიშგების* მომხმარებელს ნათელს წარმოადგენას შეუქმნის შემდეგზე:
    - ა) რა გავლენას ახდენს საწარმო კლიმატის ცვლილებაზე, არსებითი დადებითი და უარყოფითი მიმდინარე და პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით;
    - ბ) კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით საწარმოს წარსული, მიმდინარე და სამომავლო ზომები, რომელიც შესაბამისობაშია პარიზის შეთანხმებასთან (განახლებული საერთაშორისო შეთანხმება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით) და თავსებადია გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან;
    - გ) საწარმოს გეგმები და უნარი მოახდინოს საკუთარი სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის ადაპტირება მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში და ხელი შეუწყოს გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვას;
    - დ) არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციის, შერბილების ან რემედიაციის, ასევე *რისკებსა* და *შესაძლებლობებზე* რეაგირების მიმართულებით საწარმოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი სხვა *ქმედება* და ამ ქმედებების შედეგები;
    - ე) საწარმოს იმ არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების ხასიათი, ტიპი და მასშტაბი, რომლებიც წარმოიშობა კლიმატის ცვლილებაზე საწარმოს ზემოქმედებითა და *დამოკიდებულებით* და როგორ მართავს მათ საწარმო; და
  - 3) იმ რისკებისა და შესაძლებლობების *ფინანსური შედეგები* საწარმოზე, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, რომლებიც კლიმატის ცვლილებაზე საწარმოს ზემოქმედებიდან და დამოკიდებულებიდან წარმოიშობა.
2. წინამდებარე სტანდარტის *გამჟღავნების მოთხოვნებში* გათვალისწინებულია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნები (ე.ი ევროკავშირის კლიმატის კანონი (EU Climate Law)<sup>1</sup>, კლიმატის საორიენტაციო სტანდარტების რეგულაცია (Climate Benchmark Standards Regulation)<sup>2</sup>, მდგრადი დაფინანსების გამჟღავნების რეგულაცია (Sustainable Finance Disclosure Regulation (SFDR))<sup>3</sup>, ევროკავშირის ტაქსონომია (EU Taxonomy)<sup>4</sup>, ევროპის საბანკო უწყების (EBA) პილარ 3-ის გამჟღავნების მოთხოვნები<sup>5</sup>).

---

<sup>1</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის (EU) 2021/1119 რეგულაცია - Regulation (EU) 2021/1119 of the European Parliament and of the Council establishing the framework for achieving climate neutrality and amending Regulations (EC) No 401/2009 and (EU) 2018/1999 ('European Climate Law') (OJ L 243, 9.7.2021, p. 1).

<sup>2</sup> 2020 წლის 17 ივლისის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818 - Commission Delegated Regulation (EU) 2020/1818 supplementing Regulation (EU) 2016/1011 of the European Parliament and of the Council as regards minimum standards for EU Climate Transition Benchmarks and EU Paris-aligned Benchmarks (OJ L 406, 3.12.2020, p. 17).

<sup>3</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 27 ნოემბრის (EU) 2019/2088 რეგულაცია - Regulation (EU) 2019/2088 of the European Parliament and of the Council on sustainability-related disclosures in the financial services sector (Sustainable Finance Disclosures Regulation) (OJ L 317, 9.12.2019, p. 1).

<sup>4</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 18 ივნისის (EU) 2020/852 რეგულაცია - Regulation (EU) 2020/852 of the European Parliament and of the Council on the establishment of a framework to facilitate sustainable investment, and amending Regulation (EU) 2019/2088 (OJ L 198, 22.6.2020, p. 13).

<sup>5</sup> 2022 წლის 30 ნოემბრის კომისიის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) 2022/2453 - Commission Implementing Regulation (EU) 2022/2453 amending the implementing technical standards laid down in Implementing Regulation (EU) 2021/637 as regards the disclosure of environmental, social and governance risks (OJ L 324, 19.12.2022, p.1.).

3. წინამდებარე სტანდარტი მოიცავს *გამჟღავნების იმ მოთხოვნებს*, რომელიც უკავშირდება *მდგრადობის* ისეთ *საკითხებს*, როგორებიცაა: „*კლიმატის ცვლილების შერბილება*“ და „*კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია*“. იგი მოიცავს ენერგეტიკასთან დაკავშირებულ საკითხებსაც იმდენად, რამდენადაც ისინი კლიმატის ცვლილებასთანაა დაკავშირებული.
4. *კლიმატის ცვლილების შერბილება* ეხება საწარმოს ძალისხმევას წვლილი შეიტანოს პარიზის შეთანხმების შესაბამისად პრეინდუსტრიული დონის ზემოთ გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 1,5 °C-მდე შეზღუდვის ზოგად პროცესში. წინამდებარე სტანდარტი მოიცავს შვიდ *სათბურის აირთან* (და არა მარტო) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. ესენია: ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>), მეთანი (CH<sub>4</sub>), აზოტის ქვეჟანგი (N<sub>2</sub>O), ჰიდროფტორნახშირბადები (HFCs), პერფტორნახშირბადები (PFCs), გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF<sub>6</sub>) და აზოტის ტრიფტორიდი (NF<sub>3</sub>). ეს სტანდარტი ასევე მოიცავს *გამჟღავნების მოთხოვნებს* იმის შესახებ, თუ როგორ უმკლავდება საწარმო სათბურის აირების *გაფრქვევებისა* და მასთან დაკავშირებული *გარდამავალი რისკების* საკითხებს.
5. *კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია* ეხება საწარმოს მიერ კლიმატის არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებასთან ადაპტაციის პროცესს.
6. წინამდებარე სტანდარტი მოიცავს *გამჟღავნების მოთხოვნებს*, ერთი მხრივ, კლიმატთან დაკავშირებულ ისეთ საფრთხეებთან მიმართებით, რომელსაც შეუძლია საწარმო კლიმატის ფიზიკური რისკების წინაშე დააყენოს და მეორე მხრივ, ამ რისკების შესამცირებლად საწარმოს მიერ ადაპტაციის პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. იგი ასევე შეეხება ისეთ *გარდამავალ რისკებს*, რომელიც წარმოიქმნება კლიმატთან დაკავშირებულ საფრთხეებთან საჭირო ადაპტაციის შედეგად.
7. „ენერგიასთან“ დაკავშირებული *გამჟღავნების მოთხოვნები* ეხება ყველა ტიპის ენერჯის წარმოებასა და მოხმარებას.

## ურთიერთკავშირი სხვა ESRS სტანდარტებთან

8. *ოზონდამშლელი ნივთიერებების* (ODS), აზოტის ოქსიდების (NOX) და გოგირდის ოქსიდების (SOX) გაფრქვევები, სხვა აირების გაფრქვევებთან ერთად, კლიმატის ცვლილებას უკავშირდება, თუმცა ეს საკითხები ESRS E2-ის საანგარიშგებო მოთხოვნებშია წარმოდგენილი.
9. ადამიანებზე ისეთი ზემოქმედების საკითხი, რომელიც კლიმატ-ნეიტრალურ ეკონომიკაზე გადასვლამ შეიძლება წარმოშვას, წარმოდგენილია შემდეგ სტანდარტებში: ESRS S1 „*საკუთარი სამუშაო ძალა*“, ESRS S2 „*ღირებულებათა ჯაჭვის მომუშავეები*“, ESRS S3 „*ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები*“ და ESRS S4 „*მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები*“.
10. *კლიმატის ცვლილების შერბილება* და *კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია* მჭიდროდ უკავშირდება, განსაკუთრებით, ESRS E3-სა - „*წყალი და საზღვაო რესურსები*“ - და ESRS E4-ში - „*ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები*“ - წარმოდგენილ თემებს. წყალთან, ასევე გმ 11-ში მოცემულ ცხრილში წარმოდგენილ კლიმატთან დაკავშირებულ საფრთხეებთან მიმართებით, წინამდებარე სტანდარტი ეხება მწვავე და ქრონიკულ *ფიზიკურ რისკებს*, რომელიც წყალსა და ოკეანესთან დაკავშირებული საფრთხეებისგან წარმოიშობა. *ბიომრავალფეროვნების კარგვისა* და

*ეკოსისტემის დეგრადაციის* საკითხები, რომელიც შეიძლება კლიმატის ცვლილებით იყოს გამოწვეული, ESRS E4-შია - „*ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები*“ - წარმოდგენილი.

11. წინამდებარე სტანდარტი გაგებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს ESRS 1-სა - „*ზოგადი მოთხოვნები*“ - და ESRS 2-თან - „*ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები*“ - ერთად.

## **ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები**

---

### ***ESRS 2 - ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები***

12. ამ განყოფილების მოთხოვნები გაგებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს ESRS 2-ის მე-2 – „*მმართველობა*“, მე-3 – „*სტრატეგია*“ და მე-4 – „*ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა*“ თავებით დადგენილ გამჟღავნების მოთხოვნებთან ერთად. შედეგად მიღებული ინფორმაცია *მდგრადობის ანგარიშგებაში* წარმოდგენილ უნდა იქნეს ESRS 2-ის მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციასთან ერთად, გარდა ESRS 2-ის SBM-3 – „*არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან*“ - განყოფილების მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ინფორმაციისა, რომელიც საწარმოს შეუძლია, ESRS 2-ის 46-ე პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე თემატური სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებულ სხვა ინფორმაციასთან ერთად გაამჟღავნოს.

#### ***მმართველობა***

### ***ESRS 2 GOV-3-თან - „მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სექტორში“ - დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა***

---

13. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ არის თუ არა და როგორ არის, გათვალისწინებული კლიმატთან დაკავშირებული საკითხები *ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამბედველო ორგანოების* წევრების ანაზღაურებაში, მათ შორის ფასდება თუ არა მათი საქმიანობის შედეგები E1-4 *გამჟღავნების მოთხოვნის* შესაბამისად წარდგენილი *სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლებთან* მიმართებაში. საწარმომ ასევე უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მიმდინარე პერიოდში აღიარებული იმ ანაზღაურების პროცენტული წილის შესახებ, რომელიც კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებთანაა დაკავშირებული. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს იმის ახსნა-განმარტებაც თუ რას ნიშნავს კლიმატთან დაკავშირებული საკითხები.

#### ***სტრატეგია***

### ***გამჟღავნების მოთხოვნა E1-1 - კლიმატის ცვლილების შერბილების გარდამავალი გეგმა***

---

14. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია კლიმატის ცვლილების შერბილების გარდამავალი გეგმის შესახებ<sup>6</sup>.

---

<sup>6</sup> ეს ინფორმაცია შეესაბამება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2021/1119 რეგულაციის (ევროკავშირის კლიმატის კანონი - EU Climate Law) 2(1) მუხლს და (EU) 2020/1818 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (კლიმატის ბენჩმარკის რეგულაცია - Climate Benchmark Regulation) მე-2 მუხლს.

15. *გამჟღავნების* ამ *მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს ისეთი წარსული, მიმდინარე და სამომავლო შემარბილებელი ზომების შესახებ, რომლითაც საწარმო უზრუნველყოფს, რომ მისი სტრატეგია და ბიზნესმოდელი თავსებადია მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან, პარიზის შეთანხმების შესაბამისად გლობალური დათბობის ზრდის 1,5 °C-მდე შეზღუდვის პირობასთან და 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალობის მიღწევის მიზანთან, ასევე, როდესაც ეს შესაფერისია, ქვანახშირთან, ნავთობთან და გაზთან დაკავშირებულ საქმიანობებთან საწარმოს კავშირის შესახებ.

16. მე-14 პუნქტის მოთხოვნით განსაზღვრული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) *სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლებზე* მითითებით (როგორც ეს მოითხოვება E1-4 *გამჟღავნების მოთხოვნით*), ახსნა იმისა, თუ როგორ შეესაბამება საწარმოს სამიზნე მაჩვენებლები პარიზის შეთანხმების შესაბამისად გლობალური დათბობის ზრდის 1,5 °C-მდე შეზღუდვას;
- ბ) სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლებზე (როგორც ეს მოითხოვება E1-4 *გამჟღავნების მოთხოვნით*) და *კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ქმედებებზე* (როგორც ეს მოითხოვება E1-3 *გამჟღავნების მოთხოვნით*) მითითებით, ახსნა-განმარტება იდენტიფიცირებული *დეკარბონიზაციის ბერკეტებისა* და დაგეგმილი ძირითადი ქმედებების, მათ შორის საწარმოს პროდუქციისა და მომსახურების პორტფოლიოში ცვლილების, საკუთარ ოპერაციებში ან აღმავალ ან/და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ;
- გ) *კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ქმედებებზე* მითითებით (როგორც ეს მოითხოვება E1-3 *გამჟღავნების მოთხოვნით*) და ევროკავშირის ტაქსონომიასთან შესაბამისობაში მყოფი კაპიტალური დანახარჯების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების და, სადაც ეს შესაფერისია, ასევე კაპიტალური დანახარჯების გაწევის გეგმების მითითებით, რომლებსაც საწარმო (EU) 2021/2178 კომისიის დელეგირებული რეგულაციის შესაბამისად ამჟღავნებს, საწარმოს იმ ინვესტიციებისა და დაფინანსების ახსნა და რაოდენობრივად ჩვენება, რომლებიც მიმართულია მისი *გარდამავალი გეგმის* განხორციელების მხარდასაჭერად.
- დ) საწარმოს ძირითადი აქტივებიდან და პროდუქციიდან *სათბურის აირების პოტენციური/სამომავლო გაფრქვევების* ხარისხობრივი შეფასება. ეს შეფასება უნდა განმარტავდეს, შეიძლება თუ არა ამ *გაფრქვევებმა* საფრთხე შეუქმნას საწარმოს *სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების* მიღწევას და გამოიწვიოს *გარდამავალი რისკი* და როგორ შეიძლება მოხდეს ეს. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მასში ახსნილი უნდა იყოს საწარმოს გეგმები, მის მიერ ისეთი აქტივებისა და პროდუქციის მართვის შესახებ, რომელიც დიდი რაოდენობით ენერჯის მოხმარებასთან ან სათბურის აირების მნიშვნელოვან რაოდენობასთანაა დაკავშირებული;

- ე) იმ საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც *ტაქსონომიის რეგულაციის* შესაბამისად კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ან კლიმატის ცვლილების შერბილების შესახებ დელეგირებული რეგულაციებით რეგულირებულ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ - საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის (ამონაგები, კაპიტალური დანახარჯები, საოპერაციო დანახარჯები) 2021/2139<sup>7</sup> კომისიის დელეგირებული რეგულაციით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საწარმოში არსებული ნებისმიერი მიზნის ან გეგმის (კაპიტალური დანახარჯები, კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული გეგმები, საოპერაციო დანახარჯები) ახსნა-განმარტება;
- ვ) თუ ეს შესაფერისია, ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ინვესტირებული ისეთი მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯების ოდენობების შესახებ, რომელიც ქვანახშირთან, ნავთობთან და გაზთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობებს უკავშირდება;<sup>8</sup>
- ზ) ინფორმაცია იმის შესახებ, ეხება თუ არა საწარმოს პარიზის ხელშეკრულებით დადგენილი ორიენტირები;<sup>9</sup>
- თ) ახსნა-განმარტება იმისა, თუ როგორ არის ჩართული და როგორ შეესაბამება საწარმოს **გარდამავალი გეგმა** მის საერთო ბიზნეს-სტრატეგიასა და ფინანსურ გეგმებს;
- ი) დაამტკიცეს თუ არა გარდამავალი გეგმა **ადმინისტრაციულმა, მართვისა და საზედამბებლო ორგანოებმა**; და
- კ) საწარმოს მიერ გარდამავალი გეგმის განხორციელებაში მიღწეული წინსვლის ახსნა-განმარტება.

17. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ აქვს **გარდამავალი გეგმა**, მან მოკლედ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, ექნება თუ არა მას გარდამავალი გეგმა და თუ ექნება, როდის.

<sup>7</sup> 2021 წლის 4 ივნისის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2021/2139 - Commission Delegated Regulation (EU) 2021/2139 supplementing Regulation (EU) 2020/852 of the European Parliament and of the Council by establishing the technical screening criteria for determining the conditions under which an economic activity qualifies as contributing substantially to climate change mitigation or climate change adaptation and for determining whether that economic activity causes no significant harm to any of the other environmental objectives (OJ L 442, 9.12.2021, p. 1).

<sup>8</sup> განხილული კაპიტალური დანახარჯების ოდენობები დაკავშირებულია შემდეგ NACE (ევროკავშირის ეკონომიკური საქმიანობების სტატისტიკური კლასიფიკაცია) კოდებთან:

- ა) B.05 - ქვანახშირისა და მურა ნახშირის (ლოგნიტის) მოპოვება, B.06 - ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება (მოიცავს მხოლოდ ნედლ ნავთობს), B.09.1 - ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების უზრუნველმყოფი საქმიანობები (მოიცავს მხოლოდ ნედლ ნავთობს),
  - ბ) C.19 - კოქსის და რაფინირებული ნავთობპროდუქტების წარმოება,
  - გ) D.35.1 - ელექტროენერჯის წარმოება, გადაცემა და განაწილება,
  - დ) D.35.3 - ორთქლისა და ჰაერის კონდიციონერების მიწოდება (მოიცავს მხოლოდ ქვანახშირზე და ნავთობზე მომუშავე ელექტროენერჯის ან/და სითბოს გამომუშავებას),
  - ე) G.46.71 - მყარი, თხევადი და აირისებრი საწვავით და მასთან დაკავშირებული პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა (მოიცავს მხოლოდ მყარ და თხევად საწვავებს)
- აირებთან დაკავშირებული საქმიანობებისთვის, NACE კოდის განმარტება ეხება საქმიანობებს სათბურის აირების ისეთი პირდაპირი გაფრქვევებით, რომელიც აღემატება 270 გCO<sub>2</sub>/კვტ.სთ-ს.

<sup>9</sup> გამჟღავნების ეს მოთხოვნა გამოიყენება (EU) 2022/2453 კომისიის განმარტებული რეგულაციის ნიმუში I-ის - „კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ასევე იგი შეესაბამება (EU) 2020/1818 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (კლიმატის ბენჩმარკის რეგულაცია - Climate Benchmark Regulation) შემდეგ მუხლებს - 12.1 (d)-დან (g)-ის ჩათვლით და 12.2.

***ESRS 2 SBM-3-თან - „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან “ - დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა***

---

18. საწარმომ, მის მიერ გამოვლენილ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ თითოეულ არსებით რისკთან მიმართებით, უნდა განმარტოს სუბიექტი ამ რისკს ***კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ფიზიკურ რისკად*** მიიჩნევს თუ ***კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გარდამავალ რისკად***.
19. საწარმომ უნდა აღწეროს კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით მისი სტრატეგიისა და ***ბიზნესმოდელის*** მედეგობა. ეს აღწერა უნდა მოიცავდეს:
- ა) მედეგობის ანალიზის მასშტაბს;
  - ბ) როგორ და როდის ჩატარდა მედეგობის ანალიზი, კლიმატის ცვლილების ***სცენარის ანალიზის*** გამოყენების ჩათვლით, როგორც ეს მითითებულია ESRS 2 IRO-1-თან დაკავშირებულ ***გამჟღავნების მოთხოვნასა*** და დაკავშირებულ გამოყენების მოთხოვნებში; და
  - გ) მედეგობის ანალიზის შედეგებს, მათ შორის სცენარის ანალიზის გამოყენების შედეგებს.

***ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა***

***ESRS 2 IRO-1-თან - „კლიმატთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა***

---

20. საწარმომ უნდა აღწეროს კლიმატთან დაკავშირებული ***ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების*** გამოვლენისა და შეფასების პროცესი. იგი უნდა მოიცავდეს შემდეგი პროცესების აღწერას:
- ა) კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედება, კერძოდ, ***სათბურის აირების გაფრქვევები*** (როგორც ეს მოითხოვება ESRS E1-6 ***გამჟღავნების მოთხოვნით***);
  - ბ) ***კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკები*** საწარმოს საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში***, კერძოდ:
    - i. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხეები, სულ მცირე მაღალი დონის ***გაფრქვევების*** პირობებში კლიმატის ცვლილების ***სცენარების*** გათვალისწინებით;
    - ii. შეფასება იმისა, თუ როგორ შეიძლება საწარმოს აქტივები და ბიზნესსაქმიანობები აღმოჩნდეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხეების ქვეშ და რამდენად მგრძობიარეა ეს აქტივები და ბიზნესსაქმიანობები ამ საფრთხეების მიმართ, რაც საწარმოსთვის ბუნებრივ (პრევენციული ზომების მიღების გარეშე არსებულ) ***ფიზიკურ რისკებს*** ქმნის.



გ) **კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკები** და შესაძლებლობები საწარმოს საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში**, კერძოდ:

- i. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი მოვლენები, სულ მცირე კლიმატის ცვლილების ისეთი სცენარის გათვალისწინებით, რომელიც შესაბამისობაშია გლობალური დათბობის ზრდის 1,5 °C-მდე შეზღუდვის პირობასთან, შეზღუდული გადახრით ან გადახრის გარეშე; და
- ii. შეფასება იმისა, თუ როგორ შეიძლება საწარმოს აქტივები და ბიზნესსაქმიანობები აღმოჩნდეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი მოვლენების გავლენის ქვეშ, რაც საწარმოსთვის ბუნებრივ (პრევენციული ზომების მიღების გარეშე არსებულ) **გარდამავალ რისკებს** ან **შესაძლებლობებს** ქმნის.

21. 20 (ბ) და 20 (გ) პუნქტების მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა ახსნას, თუ როგორ გამოიყენა მან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული **სცენარის ანალიზი**, მათ შორის კლიმატის ცვლილების სცენარების დიაპაზონი, რომელმაც მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში **ფიზიკური რისკების** და **გარდამავალი რისკების** და შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შეფასება განაპირობა.

### ***E1-2 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული პოლიტიკები***

---

22. საწარმომ უნდა აღწეროს **კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან** დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად საწარმოში შემოღებული პოლიტიკები.

23. **გამჟღავნების ამ მოთხოვნის** მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს საწარმოს ისეთი **პოლიტიკები**, რომლებიც ეხება **კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან** დაკავშირებული საკუთარი არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** გამოვლენას, შეფასებას, მართვას ან/და რემედიაციას.

24. 22-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ **პოლიტიკების** შესახებ, რომელიც საწარმოს **კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან** დაკავშირებული საკუთარი არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** სამართავად აქვს დანერგილი, ESRS 2 MDR-P-ის - „**მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკა**“ - შესაბამისად.

25. საწარმომ უნდა მიუთითოს, ეხება თუ არა და როგორ, მისი **პოლიტიკები** შემდეგ სფეროებს:

- ა) კლიმატის ცვლილების შერბილება;
- ბ) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
- გ) ენერგოეფექტურობა;
- დ) განახლებადი ენერჯის ეფექტურად გამოყენება; და
- ე) სხვა.

***E1-3 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების პოლიტიკებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები***

---

26. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მის მიერ კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული ქმედებების და მათი განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ.
27. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკის მიზნებისა და სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად განხორციელებული და დაგეგმილი ძირითადი ქმედებების შესახებ.
28. კლიმატის ცვლილებების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული ქმედებებისა და რესურსების აღწერა უნდა შეესაბამებოდეს ESRS 2 MDR-A-ში - „მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“ - დადგენილ პრინციპებს.
29. გარდა ESRS 2 MDR-A-ის მოთხოვნების გამოყენებისა, საწარმომ:
- ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი ძირითადი ქმედებების ჩამოთვლისას, კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებული ქმედებები უნდა წარმოადგინოს დეკარბონიზაციის ბერკეტების მიხედვით, ბუნების დამზოგავი გადაწყვეტილებების ჩათვლით;
  - ბ) კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ქმედებების შედეგების აღწერისას, უნდა წარმოადგინოს სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების მიღწეული და მოსალოდნელი შედეგები; და
  - გ) უნდა აჩვენოს უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი ქმედებების განსახორციელებლად საჭირო კაპიტალური დანახარჯებისა და საოპერაციო დანახარჯების მნიშვნელოვანი ფულადი თანხების კავშირი:
    - i. ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებთან ან შენიშვნებთან;
    - ii. კომისიის დელეგირებული რეგულაციის (EU) 2021/2178 მოთხოვნებით განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების ძირითად მაჩვენებლებთან; და
    - iii. თუ ეს შესაფერისია, კომისიის დელეგირებული რეგულაციის (EU) 2021/2178 მოთხოვნებით განსაზღვრულ კაპიტალური დანახარჯების გეგმასთან.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

E1-4 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები

30. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებით მის მიერ დაწესებული სამიზნე მაჩვენებლების შესახებ.
31. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმ სამიზნე მაჩვენებლების შესახებ, რომელიც საწარმოს დაწესებული აქვს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის საკუთარი პოლიტიკების მხარდასაჭერად და კლიმატთან დაკავშირებულ საკუთარ არსებით ზემოქმედებაზე, რისკებსა და შესაძლებლობებზე რეაგირების მიზნით.
32. 30-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად სამიზნე მაჩვენებლების შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია ESRS 2 MDR-T-ის - „პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით“ - მოთხოვნებით დადგენილ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს.
33. 30-ე პუნქტით დადგენილი გამჟღავნების მოთხოვნის მიზნებისთვის, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, დააწესა თუ არა (და თუ ასეა, როგორ) მან სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები ან/და სხვა სამიზნე მაჩვენებლები კლიმატთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვის თვალსაზრისით, რაც მოიცავს, მაგალითად, განახლებადი ენერჯის ეფექტურად გამოყენებას, ენერგოეფექტურობას, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას და ფიზიკური ან გარდამავალი რისკების შერბილებას.
34. თუ საწარმომ დააწესა სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები<sup>10</sup>, მან ESRS MDR-T-ის მოთხოვნებთან ერთად უნდა გამოიყენოს შემდეგი მოთხოვნები:
- ა) სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების გამჟღავნებისას, საწარმომ ისინი უნდა გაამჟღავნოს აბსოლუტური მნიშვნელობით (CO<sub>2</sub>ეკვ. ტონებში ან საბაზისო წლის გაფრქვევების პროცენტული მაჩვენებლის სახით), ხოლო, სადაც ეს შესაფერისია, ინტენსივობაზე დაფუძნებული მაჩვენებლით;

<sup>10</sup> ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას (SFDR), ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #4 ინდიკატორით („ინვესტიციები ისეთ კომპანიებში, რომელთაც არ აქვთ ინიციატივები ნახშირბადის გაფრქვევების შემცირების მიმართულებით“ - “Investments in companies without carbon emission reduction initiatives”); ეს ინფორმაცია ასევე შეესაბამება (EU) 2020/1818 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Climate Benchmark Regulation) მე-6 მუხლს.

- ბ) საწარმომ სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები უნდა გაამჟღავნოს *1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევებისთვის*, ცალ-ცალკე ან კომბინირებული სახით. *სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების* კომბინირებული სახით გაამჟღავნებისას, საწარმომ უნდა დააკონკრეტოს სათბურის აირების გაფრქვევების რომელ კატეგორიას (1, 2 ან/და 3) მოიცავს მოცემული სამიზნე მაჩვენებელი, ასევე სათბურის აირების გაფრქვევების თითოეულ შესაბამის კატეგორიასთან დაკავშირებული წილი და რომელი სათბურის აირების შესახებ ამჟღავნებს ინფორმაციას. საწარმომ უნდა ახსნას, როგორ ხდება ამ სამიზნე მაჩვენებლებსა და სათბურის აირების მარაგების ზღვრებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა (როგორც ეს მოითხოვება E1-6 *გამჟღავნების მოთხოვნით*). სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები უნდა იყოს მთლიანი მაჩვენებლები, რაც ნიშნავს, რომ საწარმომ მასში არ უნდა ჩართოს ინფორმაცია სათბურის აირების მოცილების, *ნახშირბადის კრედიტის*, თავიდან აცილებული გაფრქვევების შესახებ, რომლებიც მიჩნეულ იქნებიან სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის საშუალებად.
- გ) საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ახლანდელი საბაზისო წლისა და საბაზისო მაჩვენებლის შესახებ, ხოლო 2030 წლიდან სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლებისთვის საბაზისო წელი უნდა განაახლოს ყოველი ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ. საწარმომ შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია წარსულში მისი სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესის შესახებ ახლანდელ საბაზისო წლამდე პერიოდთან მიმართებით, იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან იქნება შესაბამისობაში;
- დ) ინფორმაცია სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების შესახებ უნდა მოიცავდეს მაჩვენებლებს, სულ მცირე, 2030 წლისთვის და, თუ ეს შესაძლებელია, 2050 წლისთვის. 2030 წლიდან სამიზნე მაჩვენებლები უნდა დაწესდეს ყოველი 5-წლიანი პერიოდის შემდეგ;
- ე) საწარმომ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს არის თუ არა სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები სამეცნიერო მეთოდებზე დაფუძნებული და თავსებადია თუ არა ისინი გლობალური დათბობის ზრდის 1,5 °C-მდე შეზღუდვის პირობასთან. საწარმომ უნდა მიუთითოს თუ რომელი ჩარჩო დოკუმენტი და მეთოდოლოგია გამოიყენა ამ *სამიზნე მაჩვენებლების* დასადგენად, მათ შორის მომდინარეობს თუ არა ისინი სექტორული დეკარბონიზაციის გეგმიდან, კლიმატისა და *პოლიტიკის* რა ძირითადი *სცენარები* იქნა გამოყენებული და დადასტურებული იქნა თუ არა აღნიშნული სამიზნე მაჩვენებლები გარე პირის მიერ. როგორც სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების დაწესებისთვის საჭირო კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებების ნაწილი, საწარმომ მოკლედ უნდა ახსნას როგორ განიხილა მან სამომავლო მოვლენები (ცვლილებები გაყიდვების მოცულობაში, მომხმარებლის არჩევანის/გემოვნების და მოთხოვნის ცვლილება, მარეგულირებელი ფაქტორები და ახალი ტექნოლოგიები) და პოტენციურად როგორ იმოქმედებს ესენი როგორც სათბურის აირების გაფრქვევებზე, ისე ამ გაფრქვევების შემცირებაზე; და
- ვ) საწარმომ უნდა აღწეროს *დეკარბონიზაციის* რა *ბერკეტების* გამოყენებას აპირებს და მათი საერთო რაოდენობრივი წვლილი სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევაში (მაგ., ენერჯის ან მასალის ეფექტურობა და მოხმარების შემცირება, საწვავის ალტერნატიულ გზებზე გადასვლა, *განახლებადი*

ენერჯის გამოყენება, პროდუქციის და პროცესის ეტაპობრივი გაუქმება ან ჩანაცვლება).

***E1-5 გამჟღავნების მოთხოვნა - ენერჯის მოხმარება და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურა***

35. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მის მიერ ენერჯის მოხმარებისა და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურის შესახებ.
36. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მოხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ ენერჯის მთლიანი მოხმარების (აბსოლუტურ მნიშვნელობაში გამოსახული), ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესების, ქვანახშირთან, ნავთობთან და გაზთან დაკავშირებულ საქმიანობებთან საწარმოს კავშირის და მოხმარებული ენერჯის მთლიან სტრუქტურაში განახლებადი ენერჯის წილის შესახებ.
37. 35-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს საკუთარ ოპერაციებთან დაკავშირებული ენერჯის მთლიანი მოხმარების შესახებ მეგავატ-საათში, რომელიც დეზაგრეგირებული იქნება შემდეგი სახით:
- ა) წიაღისეული წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი მოხმარება<sup>11</sup>;
  - ბ) ბირთვული წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი მოხმარება;
  - გ) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი მოხმარება, რომელიც დეზაგრეგირებული იქნება შემდეგი სახით:
    - i. საწვავის მოხმარება ისეთი განახლებადი წყაროებისთვის, როგორებიცაა ბიომასა (მოიცავს ასევე ბიოლოგიური წარმოშობის სამრეწველო და მუნიციპალურ ნარჩენებს), ბიოსაწვავი, ბიოგაზი, განახლებადი წყაროებიდან მიღებული წყალბადი<sup>12</sup> და ა.შ.;

<sup>11</sup> ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #5 ინდიკატორით („არაგანახლებადი ენერჯის მოხმარებისა და წარმოების წილი“ - “Share of non-renewable energy consumption and production”). ინფორმაციის ჩაშლა წარმოადგენს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებულ დამატებით ინდიკატორზე მითითებას, რომელიც დადგენილია იგივე დანართის II ცხრილში მოცემული #5 ინდიკატორით („ენერჯის მოხმარების ჩაშლა ენერჯის არაგანახლებადი წყაროების ტიპების მიხედვით“ - “Breakdown of energy consumption by type of non-renewable sources of energy”).

<sup>12</sup> შეესაბამება განახლებადი წყაროებიდან მიღებული წყალბადის შესახებ დელეგირებული აქტების შემდეგ მოთხოვნებს: 2023 წლის 10 თებერვლის კომისიის დელეგირებული რეგულაცია, რომელიც ავსებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/2001 დირექტივას და რომელიც აწესებს ევროკავშირის ფარგლებში მოქმედ მეთოდოლოგიას არაბიოლოგიური წარმოშობის თხევადი და აირისებრი/აქროლადი განახლებადი სატრანსპორტო საწვავის წარმოების შესახებ დეტალური წესების შესახებ (Commission Delegated Regulation supplementing Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council by establishing a Union methodology setting out detailed rules for the production of renewable liquid and gaseous transport fuels of non-biological origin) და 2023 წლის 10 თებერვლის კომისიის დელეგირებული რეგულაცია, რომელიც ავსებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/2001 დირექტივას და რომელიც აწესებს რეციკლირებული ნახშირბადის საწვავისგან მიღებული სათბურის აირების გაფრქვევების შენახვის მინიმალურ ზღვარს და ადგენს არაბიოლოგიური წარმოშობის თხევადი და აირისებრი/აქროლადი განახლებადი სატრანსპორტო საწვავისგან და რეციკლირებული ნახშირბადის საწვავისგან მიღებული სათბურის აირების გაფრქვევების შენახვის შეფასების მეთოდოლოგიას (Commission Delegated Regulation supplementing Directive (EU) 2018/2001 of the European

- ii. შესყიდული ან მიღებული ისეთი ელექტროენერჯის, სითბოს, ორთქლის ან გაგრილების მოხმარება, რომელიც განახლებადი წყაროებიდანაა მიღებული; და
- iii. თვითგენერირებული არასაწვავი განახლებადი ენერჯის მოხმარება.

38. იმ საწარმოებმა, რომლებიც *კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში*<sup>13</sup> ფუნქციონირებენ, წიაღისეული წყაროებიდან მიღებული ენერჯის მთლიანი მოხმარების დეზაგრეგირება უნდა მოახდინონ დამატებით შემდეგი სახით:

- ა) ქვანახშირისგან და ქვანახშირის პროდუქტებისგან მიღებული საწვავის მოხმარება;
- ბ) ნედლი ნავთობიდან და ნავთობპროდუქტებიდან მიღებული საწვავის მოხმარება;
- გ) ბუნებრივი აირისგან მიღებული საწვავის მოხმარება;
- დ) სხვა წიაღისეული წყაროებიდან მიღებული საწვავის მოხმარება; და
- ე) *შესყიდული ან მიღებული ისეთი ელექტროენერჯის, სითბოს, ორთქლის ან გაგრილების* მოხმარება, რომელიც წიაღისეული წყაროებიდანაა მიღებული.

39. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, საწარმომ დეზაგრეგირებული სახით, ცალ-ცალკე უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი *არაგანახლებადი ენერჯის წარმოებისა და განახლებადი ენერჯის წარმოების* შესახებ, მგვტ/სთ-ში<sup>14</sup>.

***ენერჯის მოხმარების ინტენსივობა, დაფუძნებული წმინდა ამონაგებზე*<sup>15</sup>**

40. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია *კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში* განხორციელებულ საქმიანობებთან დაკავშირებული ენერჯის მოხმარების ინტენსივობის (ენერჯის მთლიანი მოხმარების ფარდობა წმინდა ამონაგებთან) შესახებ.

41. ენერჯის მოხმარების ინტენსივობის შესახებ მე-40 პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს ენერჯის მოხმარებასა და წმინდა ამონაგებს მხოლოდ ისეთი

---

Parliament and of the Council by establishing a minimum threshold for greenhouse gas emissions savings of recycled carbon fuels and by specifying a methodology for assessing greenhouse gas emissions savings from renewable liquid and gaseous transport fuels of non-biological origin and from recycled carbon fuel).

<sup>13</sup> კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორები არის ის სექტორები, რომელიც ჩამოთვლილია NACE დოკუმენტის განყოფილებებში A-დან H-ის ჩათვლით და L განყოფილებაში (როგორც ამას განსაზღვრავს კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2022/1288)

<sup>14</sup> ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #5 ინდიკატორით („არაგანახლებადი ენერჯის მოხმარებისა და წარმოების წილი“ - “Share of non-renewable energy consumption and production”).

<sup>15</sup> ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #6 ინდიკატორით („ენერჯის მოხმარების ინტენსივობა კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე თითოეულ სექტორში“ - “Energy consumption intensity per high climate impact sector”).

საქმიანობებიდან, რომელიც კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში ხორციელდება.

42. საწარმომ უნდა დააკონკრეტოს კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე ის სექტორები, რომელიც მან მე-40 პუნქტის მოთხოვნით განსაზღვრული ენერჯის მოხმარების ინტენსივობის დასადგენად გამოიყენა.
43. საწარმომ კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებული საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ამონაგების თანხის შესახებ (მნიშვნელო მე-40 პუნქტის მოთხოვნით განსაზღვრული ენერჯის მოხმარების ინტენსივობის გამოთვლისას) ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლთან ან შენიშვნებთან შეჯერებული სახით.

***E1-6 გამჟღავნების მოთხოვნა - მთლიანი 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიების გაფრქვევები და სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად***

---

44. საწარმომ ქვემოთ ჩამოთვლილი სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში<sup>16</sup>:

- ა) 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი გაფრქვევები;
- ბ) მე-2 კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი გაფრქვევები;
- გ) მე-3 კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი გაფრქვევები; და
- დ) სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად.

45. 44-ე პუნქტის გამჟღავნების მოთხოვნის მიზანია:

- ა) 44 (ა) პუნქტით დადგენილ 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების მთლიან გაფრქვევებთან მიმართებით, მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას კლიმატის ცვლილებაზე საწარმოს პირდაპირი ზემოქმედების შესახებ, ასევე საწარმოს ისეთი სათბურის აირების ჯამური გაფრქვევების რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ, რომელიც გაფრქვევებით ვაჭრობის სქემებით რეგულირდება.
- ბ) 44 (ბ) პუნქტით დადგენილ მე-2 კატეგორიის სათბურის აირების მთლიან გაფრქვევებთან მიმართებით, მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას კლიმატის ცვლილებაზე საწარმოს არაპირდაპირი ზემოქმედების შესახებ, რაც გამოწვეულია საწარმოს მიერ მოხმარებული ენერჯით, იქნება ეს გარედან შესყიდული თუ მიღებული.

---

<sup>16</sup> ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #1 და #2 ინდიკატორებით („სათბურის აირების გაფრქვევები“ (“GHG emissions”) და „ნახშირბადის კვალი“ (“Carbon footprint”). ეს ინფორმაცია შეესაბამება კომისიის დელეგირებული რეგულაციის (EU) 2020/1818 (“Climate Benchmark Regulation”) 5 (1), 6 და 8 (1) მუხლებს.

- ბ) 44 (გ) პუნქტით დადგენილ *მე-3 კატეგორიის სათბურის აირების* მთლიან *გაფრქვევებთან* მიმართებით, მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სათბურის აირების ისეთი გაფრქვევების შესახებ, რომელიც საწარმოს აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში წარმოიქმნება, 1-ელი და მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების გარდა. ბევრი საწარმოსთვის, სათბურის აირების მარაგების მთავარ კომპონენტს შეიძლება სწორედ მე-3 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევები წარმოადგენდეს და ეს იყოს საწარმოსთვის *გარდამავალი რისკების* წარმოქმნის მნიშვნელოვანი მიზეზი.
- დ) 44 (დ) პუნქტით დადგენილ სათბურის აირების *გაფრქვევების* ჯამურ ოდენობასთან მიმართებით, მომხმარებელს მიეცეს საშუალება საერთო წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, ეს გაფრქვევები საწარმოს საკუთარი ოპერაციებიდან წარმოიშობა თუ მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვიდან. ეს ინფორმაცია სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების პროგრესის გაზომვის წინაპირობას წარმოადგენს, კლიმატთან დაკავშირებით საწარმოს *სამიზნე მაჩვენებლებისა* და ევროკავშირის *პოლიტიკის* მიზნების შესაბამისად.

გამჟღავნების ამ მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროა ასევე კლიმატთან დაკავშირებით საწარმოს *გარდამავალი რისკების* შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად.

- 46. 44-ე პუნქტით დადგენილი *სათბურის აირების გაფრქვევების* შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ ასევე უნდა გამოიყენოს ESRS 1-ის პუნქტები 62-დან 67-ის ჩათვლით. პრინციპში, მონაცემები ისეთი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ, რომლებიც საწარმოს აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის ნაწილს წარმოადგენენ (ESRS 1-ის 67-ე პუნქტი), არ შემოიფარგლება მასში ფლობილი საკუთარი კაპიტალის წილით. მეკავშირე საწარმოებისთვის, ერთობლივი საწარმოებისთვის, არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოებისთვის (საინვესტიციო სუბიექტები) და სახელშეკრულებო შეთანხმებებისთვის, რომლებიც წარმოადგენს ერთობლივ საქმიანობას, რომელიც ორგანიზებული არ არის სუბიექტის მეშვეობით (ე.ი. ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციები და აქტივები), საწარმომ სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია საწარმოს მიერ მათზე განხორციელებული *საოპერაციო კონტროლის* მასშტაბის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს.
- 47. ანგარიშვალდებული საწარმოსა და მისი აღმავალი და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* შემადგენლობის განსაზღვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ და ახსნას თუ რა გავლენას ახდენს ეს ცვლილებები ანგარიშგებაში წარმოდგენილი სათბურის აირების *გაფრქვევების* წლიდან-წლამდე შესადარისობის საკითხზე (ე.ი. გავლენა მიმდინარე და წინა საანგარიშგებო პერიოდის სათბურის აირების გაფრქვევების შესადარისობაზე).
- 48. 44(ა) პუნქტით დადგენილი *1-ელი კატეგორიის სათბურის აირების* მთლიანი *გაფრქვევების* შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:
  - ა) 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების მთლიან გაფრქვევებს CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში; და
  - ბ) გაფრქვევებით ვაჭრობის სქემებით რეგულირებული 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების პროცენტულ წილს.



49. 44(ბ) პუნქტით დადგენილი *მე-2 კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი გაფრქვევების* შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ა) მე-2 კატეგორიის სათბურის აირების მთლიან გაფრქვევებს ადგილმდებარეობის მიხედვით, CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში; და
- ბ) მე-2 კატეგორიის სათბურის აირების მთლიან გაფრქვევებს ბაზრის მიხედვით, CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში.

50. საწარმომ *1-ელი და მე-2 კატეგორიის გაფრქვევების* შესახებ 44(ა) და 44(ბ) პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს დეზაგრეგირებული სახით და ცალ-ცალკე გაამჟღავნოს ინფორმაცია გაფრქვევების შესახებ, რომლებიც მომდინარეობს:

- ა) კონსოლიდირებული სააღრიცხვო ჯგუფიდან (მშობელი და შვილობილი საწარმოები); და
- ბ) ისეთი ინვესტირებული საწარმოებიდან, რომელზეც საწარმოს აქვს საოპერაციო კონტროლი, როგორებიცაა მეკავშირე საწარმოები, ერთობლივი საწარმოები ან ისეთი არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოები, რომლებიც კონსოლიდირებული სააღრიცხვო ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში სრულად არ არიან კონსოლიდირებულნი, ასევე სახელშეკრულებო შეთანხმებები, რომლებიც წარმოადენს ერთობლივ საქმიანობას, რომელიც ორგანიზებული არ არის სუბიექტის მეშვეობით (ე.ი. ერთობლივად კონტროლირებადი ოპერაციები და აქტივები).

51. *მე-3 კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი გაფრქვევების* შესახებ 44 (გ) პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მნიშვნელოვანი მე-3 კატეგორიის კლასის სათბურის აირების გაფრქვევა (ე.ი მე-3 კატეგორიის კლასის თითოეული გაფრქვევა, რომელიც საწარმოსთვის პრიორიტეტულია) CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში.

52. *სათბურის აირების გაფრქვევების* ჯამური მაჩვენებლის შესახებ 44(დ) პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა წარმოადგენდეს 44(ა), 44(ბ) და 44(გ) პუნქტებით დადგენილი *სათბურის აირების 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიის გაფრქვევების* ჯამს. სათბურის აირების გაფრქვევების ჯამური მაჩვენებელი უნდა გამჟღავნდეს დეზაგრეგირებული სახით, სადაც წარმოჩენილი იქნება განსხვავება შემდეგ ორ მაჩვენებელს შორის:

- ა) სათბურის აირების იმ გაფრქვევების ჯამური მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია მე-2 კატეგორიის სათბურის აირების ძირითადი გაფრქვევებიდან, რომელიც გაზომილ იქნა მდებარეობაზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით; და
- ბ) სათბურის აირების იმ გაფრქვევების ჯამური მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია მე-2 კატეგორიის სათბურის აირების ძირითადი გაფრქვევებიდან, რომელიც გაზომილ იქნა ბაზარზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით;

*სათბურის აირების გაფრქვევების ინტენსივობა დაფუძნებული წმინდა ამონაგებზე<sup>17</sup>*

53. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია სათბურის აირების *გაფრქვევების* ინტენსივობის შესახებ (სათბურის აირების გაფრქვევების ჯამური მაჩვენებლის ფარდობა წმინდა ამონაგებთან).
54. სათბურის აირების გაფრქვევების ინტენსივობის შესახებ 53-ე პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში გამოსახული სათბურის აირების *გაფრქვევების* ჯამური მაჩვენებლის ფარდობა (როგორც ეს მოითხოვება 44(დ) პუნქტის შესაბამისად) წმინდა ამონაგებთან.
55. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს წმინდა ამონაგების თანხების (მნიშვნელი, რომელიც გამოიყენება 53-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი სათბურის აირების გაფრქვევების ინტენსივობის გამოთვლისას) შეჯერება ფინანსური ანგარიშების შესაბამის მუხლთან ან შენიშვნებთან.

***E1-7 გამჟღავნების მოთხოვნა - ნახშირბადის კრედიტებით დაფინანსებული სათბურის აირების მოცილებისა და სათბურის აირების გაფრქვევების შერბილების პროექტები***

---

56. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში გამოსახული მოცილებული და შენახული სათბურის აირები, რომლებიც წარმოიქმნება იმ პროექტებიდან, რომლებიც შეიძლება საწარმოს განხორციელებინა საკუთარი ოპერაციებით ან რომელშიც საწარმოს შეიძლება წვლილი შეეტანა მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის გავლით; და
- ბ) შემცირებული ან მოცილებული სათბურის აირების გაფრქვევების ოდენობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვს მიღმა განხორციელებული კლიმატის ცვლილების შერბილების იმ პროექტებიდან, რომელიც მან დააფინანსა ან აპირებს რომ დააფინანსოს ნახშირბადის კრედიტების ნებისმიერი სახით შესყიდვის საშუალებით.

57. წინამდებარე გამჟღავნების მოთხოვნის მიზანია:

- ა) მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ ატმოსფეროდან სათბურის აირების სამუდამოდ მოცილების ან მათი მოცილების აქტიურად მხარდაჭერის მიზნით განხორციელებულ *ქმედებებზე*, პოტენციურად **წმინდა ნულოვანი სამიზნე მაჩვენებლის** მიღწევის მიზნით (როგორც ეს დადგენილია მე-60 პუნქტში).

---

<sup>17</sup> ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #3 ინდიკატორით („ინვესტირებული საწარმოების სათბურის აირების გაფრქვევების ინტენსივობა“ - “GHG intensity of investee companies”). ეს ინფორმაცია შეესაბამება კომისიის დელეგირებული რეგულაციის (EU) 2020/1818 (“Climate Benchmark Regulation”) 8 (1) მუხლს.

- ბ) მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას **ნახშირბადის** ისეთი **კრედიტების** მოცულობისა და ხარისხის შესახებ, რომელიც საწარმომ შეისყიდა ან აპირებს რომ შეისყიდოს ბაზარზე ნებაყოფლობითი ვაჭრობის საფუძველზე, პოტენციურად სათბურის აირების გაფრქვევების თვალსაზრისით კლიმატ-ნეიტრალობის მიღწევის პირობის შესრულების მიზნით (როგორც ეს დადგენილია 61-ე პუნქტში).

58. **სათბურის აირების მოცილებისა და შენახვის** შესახებ 56(ა) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია, თუ ეს შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში გამოსახული მოცილებული და შენახული სათბურის აირების ჯამური ოდენობა დეზაგრეგირებული სახით, სადაც ცალ-ცალკე გამჟღავნებული საწარმოს საკუთარ ოპერაციებთან დაკავშირებული ოდენობები და საწარმოს აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული ოდენობები. ასევე ეს ინფორმაცია დაყოფილი უნდა იყოს სათბურის აირების მოცილების მიზნით განხორციელებული საქმიანობების მიხედვით; და
- ბ) საწარმოს მიერ გაანგარიშებისას (გამოთვლებისას) გამოყენებული დაშვებები, მეთოდოლოგია და სახელმძღვანელო ჩარჩო დოკუმენტები.

59. **ნახშირბადის კრედიტების** შესახებ 56(ბ) პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია, თუ ეს შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში გამოსახული საწარმოს **ღირებულებათა ჯაჭვს** მიღმა შესყიდული ნახშირბადის კრედიტების ჯამური ოდენობა, რომელიც დამოწმებულია/ვერიფიცირებულია ხარისხის აღიარებული სტანდარტების შესაბამისად და გამოქვითულია მოცემული საანგარიშგებო პერიოდის მონაცემებიდან; და
- ბ) CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში გამოსახული საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვს მიღმა შესყიდული ნახშირბადის კრედიტების ჯამური ოდენობა, რომლის გამოქვითვაც მომავალში იგეგმება, და ეფუძნება თუ არა ისინი არსებულ სახელშეკრულებო შეთანხმებებს.

60. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო, E1-4 **გამჟღავნების მოთხოვნის** 30-ე პუნქტის შესაბამისად, **სათბურის აირების** მთლიანი **გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლებთან** ერთად ამჟღავნებს ინფორმაციას **წმინდა ნულოვანი სამიზნე მაჩვენებლის** შესახებ, მან უნდა ახსნას გამოყენებული მეთოდოლოგია, სახელმძღვანელო ჩარჩო დოკუმენტები და მასშტაბი და როგორ აპირებს საწარმო სათბურის აირების ნარჩენი **გაფრქვევების** (სათბურის აირების გაფრქვევების დაახლოებით 90-95%-ით შემცირების შემდეგ სექტორის ფარგლებში აღიარებული დეკარბონიზაციის გეგმის შესაბამისად დასაბუთებული სექტორული ვარიაციების შესაძლებლობით) განეიტრალებას, მაგალითად, საკუთარ ოპერაციებში და მის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში სათბურის აირების მოცილების გზით.

61. შესაძლოა საწარმომ სათბურის აირების თვალსაზრისით კლიმატ-ნეიტრალობის მიღწევასთან დაკავშირებით ისეთი საჯარო პირობა დადო, რაც **ნახშირბადის კრედიტების** გამოყენებას მოიცავს, ასეთ შემთხვევაში მან უნდა ახსნას:

- ა) აქვს თუ არა საწარმოს და როგორ, ამ პირობის შესაბამისი სათბურის აირების **გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები** ისე, როგორც ეს ESRS E1-4 გამჟღავნების მოთხოვნით არის დადგენილი;
- ბ) ხომ არ აფერხებს ან ამცირებს ეს პირობა და ნახშირბადის კრედიტებზე დამოკიდებულება სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების<sup>18</sup>, ან, თუ ეს შესაძლებელია, წმინდა ნულოვანი სამიზნე მაჩვენებლის, მიღწევის შესაძლებლობას და როგორ ხდება ეს; და
- გ) გამოყენებული ნახშირბადის კრედიტების სანდოობა და სარწმუნოობა, მათ შორის ხარისხის აღიარებულ სტანდარტებზე მითითებით.

***E1-8 გამჟღავნების მოთხოვნა - ნახშირბადის შიდა ფასწარმოქმნა***

---

62. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, იყენებს თუ არა იგი **ნახშირბადის ფასწარმოქმნის შიდა სქემას** და თუ ასეა, რა წვლილი შეაქვს ამას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და როგორ ასტიმულირებს ეს კლიმატთან დაკავშირებული **პოლიტიკების განხორციელებისა და სამიზნე მაჩვენებლების** მიღწევის პროცესს.

63. 62-ე პუნქტის მოთხოვნით განსაზღვრული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) ნახშირბადის ფასწარმოქმნის შიდა სქემის სახე/ტიპი, მაგალითად, კაპიტალური დანახარჯებისთვის ან კვლევისა და განვითარების საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისთვის გამოყენებული ჩრდილოვანი ფასი, ნახშირბადის შიდა მოსაკრებლები ან ნახშირბადის შიდა ფონდები;
- ბ) ნახშირბადის ფასწარმოქმნის სქემების გამოყენების კონკრეტული სფერო (საქმიანობები, გეოგრაფიული მდებარეობა, სუბიექტები და ა.შ.);
- გ) გამოყენებული ნახშირბადის ფასები სქემის ტიპის მიხედვით და ფასების განსაზღვრის მიზნით გაკეთებული კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებები, მათ შორის გამოყენებული ნახშირბადის ფასების წყაროები და ახსნა იმისა, თუ რატომ მიიჩნია საწარმომ იგი შესაბამისად ასეთი სახით გამოყენების მიზნით. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია ნახშირბადის ფასების გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ, მათ შორის იმის თაობაზე, თუ რამდენად დაეფუძნა ისინი მეცნიერულ მითითებებს და როგორ არის დაკავშირებული მათი მომავალი განვითარება მეცნიერებაზე დაფუძნებულ ნახშირბადის ფასწარმოქმნის მიმართულებაზე; და
- დ) მიმდინარე წლისთვის CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ის მეტრულ ტონებში გამოსახული 1-ელი, მე-2 და, სადაც ეს შესაძლებელია, მე-3 კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი გაფრქვევების მოცულობის მიახლოებითი ოდენობა, რომელსაც ეს სქემები მოიცავს, ასევე მათი წილი საწარმოს სათბურის აირების საერთო **გაფრქვევებში**, თითოეული შესაბამისი კატეგორიისთვის.

---

<sup>18</sup> ეს ინფორმაცია შეესაბამება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2021/1119 რეგულაციის (ევროკავშირის კლიმატის კანონი - "EU Climate Law) 2 (1) მუხლს.

***E1-9 გამჟღავნების მოთხოვნა - არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობები***

---

64. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

- ა) არსებითი ფიზიკური რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები;
- ბ) არსებითი გარდამავალი რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები; და
- გ) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული არსებითი შესაძლებლობებით სარგებლობის პოტენციალი.

65. მიმდინარე ფინანსური შედეგების შესახებ ESRS 2 SBM-3-ის 48(დ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გარდა, საწარმომ დამატებით უნდა წარმოადგინოს 64-ე პუნქტის მოთხოვნით განსაზღვრული ინფორმაცია. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია:

- ა) არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგებთან დაკავშირებით, მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს (ან გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა მოახდინოს) ეს რისკები არსებით გავლენას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. გმ 10 - გმ 13 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, მედეგობის ანალიზის ჩასატარებლად გამოყენებული სცენარის ანალიზის შედეგები არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შეფასებას უნდა განაპირობებდეს.
- ბ) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული არსებითი შესაძლებლობებით სარგებლობის პოტენციალთან დაკავშირებით, მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია საწარმოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული არსებითი შესაძლებლობებიდან მიიღოს ფინანსური სარგებელი. ეს ინფორმაცია ავსებს საქმიანობის შედეგების ძირითადი ინდიკატორების შესახებ (EU) 2021/2178 კომისიის დელეგირებული რეგულაციის შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციას.

66. 64(ა) პუნქტის მოთხოვნით განსაზღვრული ინფორმაცია არსებითი ფიზიკური რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგს<sup>19</sup>:

- ა) მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში არსებითი ფიზიკური რისკის ქვეშ მყოფი აქტივების ფულადი ოდენობა და რაოდენობრივი თანაფარდობა (პროცენტული მაჩვენებელი), კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ქმედებების განხილვამდე; აღნიშნული აქტივების ფულადი ოდენობები წარმოდგენილ უნდა იქნეს დეზაგრეგირებული სახით მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკების მიხედვით<sup>20</sup>;

<sup>19</sup> ეს ინფორმაცია შეესაბამება (EU) 2020/1818 კომისიის დელეგირებულ რეგულაციას (Climate Benchmark Regulation).

<sup>20</sup> გამჟღავნების ეს მოთხოვნა შეესაბამება კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2022/2453 მოთხოვნებს - ნიმუში 5: საბანკო აქტივების კრებული - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკი: კავშირები, რომლებიც ფიზიკურ რისკს ექვემდებარება.

- ბ) არსებითი ფიზიკური რისკის ქვეშ მყოფი იმ აქტივების რაოდენობრივი თანაფარდობა, რომელსაც *კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ქმედებები* შეეხო;
- გ) არსებითი ფიზიკური რისკის ქვეშ მყოფი მნიშვნელოვანი აქტივების ადგილმდებარეობა<sup>21</sup>; და
- დ) მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში არსებითი ფიზიკური რისკის ქვეშ მყოფი ბიზნესსაქმიანობებიდან მიღებული წმინდა ამონაგების ფულადი ოდენობა და რაოდენობრივი თანაფარდობა (პროცენტული მაჩვენებელი).

67. 64(ბ) პუნქტის მოთხოვნით განსაზღვრული ინფორმაცია არსებითი *გარდამავალი რისკებიდან* მომდინარე *მოსალოდნელი ფინანსური შედეგების* შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში არსებითი გარდამავალი რისკის ქვეშ მყოფი აქტივების ფულადი ოდენობა და რაოდენობრივი თანაფარდობა (პროცენტული მაჩვენებელი), *კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებების* განხილვამდე;
- ბ) არსებითი გარდამავალი რისკის ქვეშ მყოფი იმ აქტივების რაოდენობრივი თანაფარდობა, რომელსაც *კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებები* შეეხო;
- გ) საწარმოს უძრავი ქონების აქტივების საბალანსო ღირებულება, ჩაშლილი სახით ენერგოეფექტურობის კლასების მიხედვით<sup>22</sup>;
- დ) ვალდებულებები, რომელთა აღიარება შეიძლება საჭირო გახდეს ფინანსურ ანგარიშგებაში, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში; და
- ე) მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში არსებითი გარდამავალი რისკის ქვეშ მყოფი ბიზნესსაქმიანობებიდან მიღებული წმინდა ამონაგების ფულადი ოდენობა და რაოდენობრივი თანაფარდობა (პროცენტული მაჩვენებელი), მათ შორის, სადაც შესაფერისია, საწარმოს იმ კლიენტების წმინდა ამონაგების ფულადი ოდენობა და რაოდენობრივი თანაფარდობა (პროცენტული მაჩვენებელი), რომლებიც ქვანახშირთან, ნავთობთან და გაზთან დაკავშირებული საქმიანობებით არიან დაკავებულნი.

68. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ პუნქტებში დადგენილი ინფორმაციის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებთან ან შენიშვნებთან შეჯერების შესახებ:

- ა) არსებითი ფიზიკური რისკის ქვეშ მყოფი აქტივების და წმინდა ამონაგების მნიშვნელოვანი ოდენობები (როგორც ეს დადგენილია 66-ე პუნქტით);
- ბ) არსებითი გარდამავალი რისკის ქვეშ მყოფი აქტივების, ვალდებულებების და წმინდა ამონაგების მნიშვნელოვანი ოდენობები (როგორც ეს დადგენილია 67-ე პუნქტით).

<sup>21</sup> გამჟღავნების ეს მოთხოვნა შეესაბამება კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2022/2453 მოთხოვნებს - ნიმუში 5: საბანკო აქტივების კრებული - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკი: კავშირები, რომლებიც ფიზიკურ რისკს ექვემდებარება.

<sup>22</sup> გამჟღავნების ეს მოთხოვნა შეესაბამება კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2022/2453 მოთხოვნებს - ნიმუში 2: საბანკო აქტივების კრებული - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები - უზრუნველყოფის ენერგოეფექტურობა.

69. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული არსებითი *შესაძლებლობებით* სარგებლობის პოტენციალის შესახებ 64(გ) პუნქტით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს<sup>23</sup>:

- ა) *კლიმატის ცვლილების შერბილების* და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის *ქმედებების* შედეგად ხარჯების მოსალოდნელი შემცირება;
- ბ) პოტენციური ბაზრის ზომა ან მოსალოდნელი ცვლილებები ნახშირბადის დაბალი გაფრქვევების მქონე პროდუქციიდან და მომსახურებიდან მიღებულ წმინდა ამონაგებში ან ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტები, რომელზეც საწარმოს აქვს ან შეიძლება ჰქონდეს წვდომა.

70. საწარმოს არ მოეთხოვება *შესაძლებლობებიდან* მომდინარე *ფინანსური შედეგების* რაოდენობის განსაზღვრა, თუ ეს ინფორმაცია არ აკმაყოფილებს სასარგებლო ინფორმაციის იმ ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომელიც ESRS 1-ის „ბ“ დანართშია - „*ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები*“ - წარმოდგენილი.

---

<sup>23</sup> ეს ინფორმაცია შეესაბამება (EU) 2020/1818 კომისიის დელეგირებულ რეგულაციას (Climate Benchmark Regulation).

## დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

ეს დანართი ESRS E1-ის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს ამ სტანდარტით გათვალისწინებული გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებას და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

### სტრატეგია

#### გამჟღავნების მოთხოვნა E1-1 - კლიმატის ცვლილების შერბილების გარდამავალი გეგმა

გმ 1. **გარდამავალი გეგმა** საწარმოს მიერ **კლიმატის ცვლილების შერბილების** მიმართულებით გაღებულ ძალისხმევას უკავშირდება. გარდამავალი გეგმის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას საწარმომ უნდა წარმოადგინოს ზოგადი ხასიათის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ მოახდენს იგი საკუთარი სტრატეგიისა და **ბიზნესმოდელის** ადაპტირებას ისე, რომ იგი თავსებადი იყოს მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან და პარიზის შეთანხმების (ან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული განახლებული საერთაშორისო შეთანხმების) შესაბამისად გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან, ასევე 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალობის მიღწევის მიზანთან, შეზღუდული გადახრით ან გადახრის გარეშე, როგორც ეს დადგენილია (EU) 2021/1119 რეგულაციით (ევროკავშირის კლიმატის კანონი - European Climate Law) და, როდესაც ეს შესაფერისია, როგორ მოახდენს საწარმო ქვანახშირთან, ნავთობთან და გაზთან დაკავშირებულ საქმიანობებთან საკუთარი კავშირების ადაპტირებას.

გმ 2. სექტორული გეგმები საჯარო **პოლიტიკით** ყველა სექტორისთვის ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. მასსადამე, 16(ა) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი გამჟღავნების მოთხოვნა გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან საწარმოს **გარდამავალი გეგმის** თავსებადობის თაობაზე გაგებულ უნდა იქნეს, როგორც საწარმოს სათბურის აირების **გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების** შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. 16(ა) პუნქტით დადგენილი გამჟღავნების მოთხოვნა უნდა შეფასდეს, როგორც საორიენტაციო მაჩვენებელი, გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის გეგმასთან მიმართებით. ეს საორიენტაციო მაჩვენებელი უნდა დაეფუძნოს ან სექტორული დეკარბონიზაციის გეგმას, თუ იგი არსებობს იმ სექტორისთვის, სადაც საწარმო ფუნქციონირებს, ან მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ეკონომიკურ სცენარს, მის წინაშე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით (ე.ი. ეს გულისხმობს **გაფრქვევების შემცირების** მიმართულებით სახელმწიფოს დონეზე არსებული მიზნების უბრალოდ საწარმოს დონეზე გადმოტანას). ეს გამოყენების მოთხოვნა (გმ 2) წაკითხულ უნდა იქნეს გმ 26 და გმ 27-თან, ასევე დეკარბონიზაციის იმ სექტორულ გეგმებთან ერთად, რომელსაც იგი შეეხება.

გმ 3. 16(დ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს:

- ა) ძირითად აქტივებთან დაკავშირებული **სათბურის აირების პოტენციური/სამომავლო გაფრქვევების** ერთობლიობა საანგარიშგებო წლიდან 2030 და 2050 წლებამდე, გამოსახული ტCO<sub>2</sub>ეკვ.-ში. იგი გამოითვლება აქტიური და გეგმით მტკიცედ გათვალისწინებული ძირითადი აქტივების საოპერაციო ვადის განმავლობაში შეფასებული 1-ელი და მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების ჯამით. ძირითადი აქტივები არის ის აქტივები, რომლებსაც საწარმო ფლობს ან აკონტროლებს და იგი შედგება არსებული ან გეგმით გათვალისწინებული იმ აქტივებისგან



(როგორცაა სტაციონარული ან მოძრავი **ტექნიკური მოწყობილობები**, ობიექტები და აღჭურვილობა), რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვანი პირდაპირი ან ენერგიიდან წარმოშობილი არაპირდაპირი სათბურის აირების გაფრქვევების წყაროს. გეგმით მტკიცედ გათვალისწინებული ძირითადი აქტივები არის ის აქტივები, რომლებსაც საწარმო დიდი ალბათობით ექსპლუატაციაში ჩაუშვებს (გამოყენებას დაიწყებს) მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

- ბ) სათბურის აირების პოტენციური/სამომავლო გაფრქვევების ერთობლიობა, რომლებიც ასოცირდება გაყიდული პროდუქციის პირდაპირი გამოყენების ფაზის სათბურის აირების გაფრქვევებთან, გამოსახული ტCO<sub>2</sub>ეკვ.-ში. იგი გამოითვლება საანგარიშგებო წლის განმავლობაში პროდუქციის გაყიდვების მოცულობის გამრავლებით პროდუქციის არსებობის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში პირდაპირი გამოყენების ფაზის სათბურის აირების გაფრქვევების შეფასებული ოდენობების ჯამზე. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ “გაყიდული პროდუქციის გამოყენებით“ წარმოქმნილი **მე-3 კატეგორიის კლასის** სათბურის აირების გაფრქვევები განსაზღვრა, როგორც მნიშვნელოვანი გაფრქვევები, E1-6 *გამჟღავნების მოთხოვნის* 51-ე პუნქტის შესაბამისად; და
- გ) ახსნა-განმარტებას ისეთი აქტივებისა და პროდუქციის მართვის (ე.ი. გარდაქმნის, ექსპლუატაციიდან ამოღების ან ეტაპობრივად გაუქმების) გეგმების შესახებ, რომლებიც დიდი რაოდენობით სათბურის აირებს გამოყოფს ან დიდი რაოდენობით ენერგიას მოიხმარენ.

გმ 4. 16(ე) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა ახსნას მისი მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიცვლება, მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით, დროთა განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური საქმიანობების (EU) 2021/2139 კომისიის დელეგირებული რეგულაციის დებულებებთან შესაბამისობა. ამ დროს, საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქმიანობის შედეგების ის ძირითადი ინდიკატორები, რომელთა გამჟღავნებაც სავალდებულოა (EU) 2020/852 რეგულაციის მე-8 მუხლის შესაბამისად (კერძოდ, ევროკავშირის ტექსონომიასთან შესაბამისობაში მყოფი ამონაგები და კაპიტალური დანახარჯები, ასევე, თუ ეს შესაფერისია, კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული გეგმები).

გმ 5. 16(ზ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ მკაფიოდ უნდა მიუთითოს, ეხება თუ არა მას პარიზის ხელშეკრულებით დადგენილი ორიენტირები (EU) 2020/1818 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (კლიმატთან დაკავშირებული საორიენტაციო სტანდარტების რეგულაცია - Climate Benchmark Standards Regulation) 12.1 (დ) - (ზ)<sup>24</sup> და 12.2 მუხლებით დადგენილი საგამონაკლისო კრიტერიუმების შესაბამისად<sup>25</sup>.

***ESRS 2 SBM-3-თან - „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან “ - დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა***

---

გმ 6. მედეგობის ანალიზის მასშტაბის შესახებ 19(ა) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს მისი საკუთარი ოპერაციების და აღმავალი და დაღმავალი **ღირებულებათა ჯაჭვის** რომელ ნაწილს, ასევე რომელ არსებით **ფიზიკურ** და **გარდამავალ რისკებს** შეიძლება არ მოიცავდეს ეს ანალიზი.

გმ 7. 19(ბ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა მედეგობის ანალიზი, საწარმომ უნდა განმარტოს:

- ა) კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებები იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ნახშირბადის დაბალი გაფრქვევების მქონე და მედეგ ეკონომიკაზე გადასვლა მის მკროეკონომიკურ ტენდენციებზე, ენერჯის მოხმარებასა და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურაზე, ასევე ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებულ დაშვებებზე;
- ბ) გამოყენებული დროის პერიოდები და მათი შესაბამისობა კლიმატსა და ბიზნესთან დაკავშირებულ იმ **სცენარებთან**, რომელიც გათვალისწინებულ იქნა როგორც არსებითი **ფიზიკური** და **გარდამავალი რისკების** განსაზღვრისას (გმ 11 - გმ 12 პუნქტები), ისე **სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების** დადგენისას (რომელიც წარდგენილ იქნა E1-4 **გამჟღავნების მოთხოვნის** შესაბამისად); და

---

<sup>24</sup> კლიმატთან დაკავშირებული საორიენტაციო სტანდარტების რეგულაციის 12.1 მუხლით დადგენილია, რომ "პარიზის ხელშეკრულებით დადგენილი "ბენჩმარკის" ადმინისტრატორები გამორიცხავენ შემდეგ კომპანიებს:

ა) კომპანიები, რომლებიც თავიანთი ამონაგების 1%-ს ან მეტს იღებენ ანთრაციტისა და ლიგნიტის საბადოთა დამუშავების, ამოღების/მოპოვების, დისტრიბუციის ან გაწმენდის შედეგად; ან

ბ) კომპანიები, რომლებიც თავიანთი ამონაგების 10%-ს ან მეტს იღებენ ნავთობის საწვავის საბადოთა დამუშავების, ამოღების/მოპოვების, დისტრიბუციის ან გაწმენდის შედეგად; ან

გ) კომპანიები, რომლებიც თავიანთი ამონაგების 50%-ს ან მეტს იღებენ აირისებრი საწვავის ძიების, საბადოთა დამუშავების, ამოღების/მოპოვების, წარმოების ან დისტრიბუციის შედეგად; ან

დ) კომპანიები, რომლებიც თავიანთი ამონაგების 50%-ს ან მეტს იღებენ ისეთი სახის ელექტროენერჯის წარმოებიდან, რომელიც ხასიათდება 100გ CO<sub>2</sub> ეკვ./კვტ.სთ-ზე მეტი სათბურის აირების გაფრქვევის ინტენსივობით.“

12.2 მუხლით დადგენილია, რომ პარიზის ხელშეკრულებით დადგენილი „ბენჩმარკის“ ადმინისტრატორებმა ამ ორიენტირებიდან უნდა გამორიცხონ ნებისმიერი კომპანია, რომელიც მათ მიერ ან მონაცემთა გარე მომწოდებლების მიერ დადგინდა ან შეფასდა, როგორც კომპანია, რომელიც მნიშვნელოვნად აზარალებს ერთ ან მეტ ისეთ გარემოსდაცვით მიზანს, რომელიც მითითებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2020/852 რეგულაციის მე-9 მუხლში, ამ რეგულაციის 13(2) მუხლით გათვალისწინებული შეფასების წესების შესაბამისად.

<sup>25</sup> გამჟღავნების ეს მოთხოვნა შეესაბამება კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2022/2453 მოთხოვნებს - ნიმუში 1 - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი.

- ბ) როგორ იქნა გათვალისწინებული არსებითი *ფიზიკური* და *გარდამავალი რისკებით* განპირობებული შეფასებული *მოსალოდნელი ფინანსური შედეგები* (როგორც ეს მოითხოვება E1-9 *გამჟღავნების მოთხოვნით*), ასევე შემარბილებელი *ქმედებები* და რესურსები (რომელიც წარდგენილ იქნა E1-3 *გამჟღავნების მოთხოვნის* შესაბამისად).

გმ 8. მედეგობის ანალიზის შედეგების შესახებ 19(გ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს:

- ა) განუსაზღვრელობების სფეროები მედეგობის ანალიზისას და რამდენად არის გათვალისწინებული რისკის ქვეშ მყოფი აქტივები და ბიზნესსაქმიანობები საწარმოს სტრატეგიის, საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე და დაგეგმილი შემარბილებელი *ქმედებების* განსაზღვრისას;
- ბ) საწარმოს შესაძლებლობა მოახერხოს საკუთარი სტრატეგიის და *ბიზნესმოდელის* კლიმატის ცვლილებასთან მორგება ან ადაპტირება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ შორის უზრუნველყოს მუდმივი წვდომა დაფინანსებაზე კაპიტალის ხელმისაწვდომი ღირებულებით, ჰქონდეს არსებული აქტივების გადაჯგუფების, მოდერნიზაციის ან ექსპლუატაციიდან ამოღების შესაძლებლობა, შეცვალოს პროდუქციისა და მომსახურების პორტფელი, უზრუნველყოს სამუშაო ძალის მიერ ახალი უნარ-ჩვევების ათვისება.

**ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვა**

**ESRS 2 IRO-1-თან - „კლიმატთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“ - დაკავშირებული გამჟღავნების მოთხოვნა**

გმ 9. კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედების გამოვლენისა და შეფასების პროცესების შესახებ 20(ა) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს:

- ა) როგორ გადაამოწმა მან არსებული და სამომავლოდ პოტენციური სათბურის აირების გაფრქვევების წყაროების და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ ოპერაციებში და ღირებულებათა ჯაჭვში კლიმატის ცვლილებაზე სხვა სახის ზემოქმედების გამომწვევი ფაქტორების (მაგალითად, შავი ნახშირბადის (მურის) ან ტროპოსფერული ოზონის *გაფრქვევები* ან *მიწათსარგებლობის ცვლილება*) გამოვლენის მიზნით საწარმოში არსებული საქმიანობები და გეგმები; და
- ბ) როგორ შეაფასა მან კლიმატის ცვლილებაზე საწარმოს არსებული და პოტენციური ზემოქმედება (ე.ი. საკუთარი სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად).

გმ 10. საწარმოს შეუძლია 20(ა) და გმ 9 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია დაუკავშიროს *გამჟღავნების* შემდეგი *მოთხოვნების* შესაბამისად გამჟღავნებულ

ინფორმაციას: E1-1 *გამჟღავნების მოთხოვნის* 16(დ) პუნქტი სათბურის აირების პოტენციური/სამომავლო გაფრქვევების შესახებ, E1-4 *გამჟღავნების მოთხოვნა* და E1-6 *გამჟღავნების მოთხოვნა*.

გმ 11. **ფიზიკური რისკების** გამოვლენისა და შეფასების პროცესების შესახებ 20(ბ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს:

- ა) გამოავლინა თუ არა მან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხეები (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი) მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და გადაამოწმა თუ არა მან, შეიძლება თუ არა, რომ მისი აქტივები და ბიზნესსაქმიანობები ექვემდებარებოდნენ ამ საფრთხეებს და როგორ გააკეთა ეს;
- ბ) განსაზღვრა თუ არა მან მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დროის პერიოდები და როგორ არის მის მიერ დადგენილი პერიოდების ამგვარი განსაზღვრება დაკავშირებული მისი აქტივების სასარგებლო გამოყენების მოსალოდნელ ვადასთან, სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდებთან და კაპიტალის განაწილების გეგმებთან და როგორ გააკეთა ეს;
- გ) შეაფასა თუ არა მან (და როგორ გააკეთა ეს) ის ფაქტი, თუ რამდენად ექვემდებარება მისი აქტივები და ბიზნესსაქმიანობები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოვლენილ საფრთხეებს და რამდენად მგრძობიარეა მისი ეს აქტივები და ბიზნესსაქმიანობები ამ საფრთხეების მიმართ, ასეთი საფრთხეების ალბათობის, მნიშვნელოვნების/სიდიდის და ხანგრძლივობის, ასევე საწარმოსა და მისი მიწოდების ჯაჭვების სპეციფიკური გეოსივრცული კოორდინატების (როგორცაა ევროკავშირის ტერიტორიისთვის შემუშავებული ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკის მიზნებისთვის (Nomenclature of Territorial Units of Statistics - NUTS)) გათვალისწინებით; და
- დ) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენა, ამ საფრთხეებზე დაქვემდებარება და მათ მიმართ მგრძობიარეობა განპირობებულია თუ არა (და როგორ) მაღალი გაფრქვევების პირობებში კლიმატის ცვლილების სცენარებით, რაც შეიძლება, მაგალითად, ეფუძნებოდეს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიერ შემუშავებულ SSP5-8.5 სცენარს (IPCC SSP5-8.5), ასეთი გაფრქვევების არსებობის სცენარებზე დაფუძნებულ რეგიონული კლიმატის პროგნოზებს, ან ფინანსური სისტემის გამწვანების ქსელის (Network for Greening the Financial System – NGFS) მიერ შემუშავებულ კლიმატის სცენარებს მაღალი ფიზიკური რისკებით, როგორებიცაა, მაგალითად, „ცხელი სახლის სამყარო“ (“Hot house world”) ან „ძალიან ცოტა, ძალიან გვიან“ (“Too little, too late”). კლიმატთან დაკავშირებული სცენარის ანალიზის შესახებ ზოგად მოთხოვნებთან დაკავშირებით იხილეთ 18, 19, გმ 13 - გმ 15 პუნქტები.

კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების კლასიფიკაცია (წყარო: კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2021/2139)				
	ტემპერატურასთან დაკავშირებული	ქართან დაკავშირებული	წყალთან დაკავშირებული	მყარ მასასთან დაკავშირებული
ქრონიკული	ტემპერატურის ცვლილება (ჰაერი, მტკნარი წყალი, ზღვის წყალი)	ქარის მოდელის ცვლილება	ნალექების მოსვლის მოდელისა და ტიპების ცვლილება (წვიმა, სეტყვა, თოვლი/ყინული)	საზღვაო სანაპირო ზოლის ეროზია
	სიციხით გამოწვეული სტრესი		ნალექების ან ჰიდროლოგიური ცვალებადობა	ნიადაგის დეგრადირება
	ტემპერატურის ცვალებადობა		ოკეანის გამჟავიანება	ნიადაგის ეროზია
	მრავალწლიანი მზრალი გრუნტის დნობა		მტკნარი წყლების გამლაშება (ზღვის წყლის ინტრუზია მტკნარ წყლებში)	სოლიფლუქცია
			ზღვის დონის აწევა	
		წყალზე მოთხოვნა		
მწვავე	ძლიერი სიციხის პერიოდები	ციკლონები, ქარიშხლები, ტაიფუნები	გვალვა	ზვავი
	ძლიერი სიცივის პერიოდები/ყინვა	შტორმები (მათ შორის ქარბუქი, მტვერი და ქვიშის ქარიშხალი)	ძლიერი ნალექი (წვიმა, სეტყვა, თოვლი/ყინული)	მეწყერი
	ტყის ხანძარი	ქარბორბალა	წყალდიდობა (საზღვაო სანაპიროსთან, მდინარის სანაპიროსთან, უხვნალექიანობით გამოწვეული, მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებთან დაკავშირებული)	ნიადაგის დაჯდომა
			მცინვარული ტბების ნაპირებიდან გადმოსვლა	

გმ 12. **გარდამავალი რისკების და შესაძლებლობების** იდენტიფიცირების პროცესების შესახებ 20(გ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს:

- ა) გამოავლინა თუ არა მან გარდამავალი მოვლენები (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი) მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და გადაამოწმა თუ არა მან, შეიძლება თუ არა, რომ მისი აქტივები და ბიზნესსაქმიანობები იმყოფებოდნენ ამ მოვლენების ზემოქმედების ქვეშ და როგორ გააკეთა ეს. გარდამავალი რისკებისა და შესაძლებლობების შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივა შეიძლება მოიცავდეს 10 წელზე მეტს და შეესაბამებოდეს კლიმატთან დაკავშირებული საჯარო **პოლიტიკის** მიზნებს;
- ბ) შეაფასა თუ არა მან (და როგორ გააკეთა ეს) ის ფაქტი, თუ რამდენად იმყოფება მისი აქტივები და ბიზნესსაქმიანობები იდენტიფიცირებული გარდამავალი მოვლენების ზემოქმედების ქვეშ და რამდენად მგრძობიარეა მისი აქტივები და ბიზნესსაქმიანობები ამ მოვლენების მიმართ, ასეთი გარდამავალი მოვლენების ალბათობის, მნიშვნელოვნების/სიდიდის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით;

- ბ) გარდამავალი მოვლენების გამოვლენა და ამ მოვლენების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა განპირობებულია თუ არა (და როგორ) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული **სცენარის ანალიზით**, სადაც გათვალისწინებულია, სულ მცირე, ერთი ისეთი სცენარი, რომელიც შესაბამისობაშია პარიზის შეთანხმებასთან და ზღუდავს კლიმატის ცვლილების ზრდას 1.5°C-მდე და რომელიც, მაგალითად, ეფუძნება ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (International Energy Agency) სცენარებს (წმინდა ნულოვანი გაფრქვევები 2050 წლისთვის („Net zero Emissions by 2050“), მდგრადი განვითარების სცენარი („Sustainable Development Scenario“) და სხვ.) ან ფინანსური სისტემის გამწვანების ქსელის (Network for Greening the Financial System – NGFS) მიერ შემუშავებულ კლიმატის ცვლილების სცენარებს. კლიმატთან დაკავშირებული სცენარის ანალიზის შესახებ ზოგად მოთხოვნებთან დაკავშირებით იხილეთ 18, 19, გმ 13 - გმ 15 პუნქტები; და
- დ) გამოავლინა თუ არა (და როგორ გააკეთა ეს) მან ის აქტივები და ბიზნესსაქმიანობები, რომლებიც არ შეესაბამება კლიმატ-ნეიტრალურ ეკონომიკაზე გადასვლის გეგმას, ან მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო მათ შესაბამისობაში მოსაყვანად (მაგალითად, (EU) 2021/2139 კომისიის დელეგირებული რეგულაციით განსაზღვრულ ტაქსონომიასთან შესაბამისობის მოთხოვნებთან შეუთავსებლობის ან **სათბურის აირების** მნიშვნელოვანი **პოტენციური/სამომავლო გაფრქვევების** გამო).

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი მოვლენების მაგალითები (კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ჯგუფის (TCFD) მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციაზე დაფუძნებული მაგალითები)

პოლიტიკა და სამართალი	ტექნოლოგია	ბაზარი	რეპუტაცია
სათბურის აირების გაფრქვევებზე ფასის ზრდა	არსებული პროდუქციის და მომსახურების ჩანაცვლება ნაკლები გაფრქვევების მქონე ალტერნატივებით	მომხმარებლის ქცევის ცვლილება	ცვლილებები მომხმარებელთა პრიორიტეტებში
გაფრქვევებთან დაკავშირებით ანგარიშის მომზადების გამკაცრებული ვალდებულებები	წარუმატებელი ინვესტიცია ახალ ტექნოლოგიებში	გაურკვეველი საბაზრო ნიშნები/სიგნალები	სექტორის სტიგმატიზაცია
არსებული პროდუქციისა და მომსახურების რეგულირება და მათზე მანდატის გაცემა	დაბალი გაფრქვევების მქონე ტექნოლოგიებზე გადასვლის ხარჯები	გაზრდილი ხარჯები ნედლეულზე	დაინტერესებული მხარეების შეშფოთების ზრდა
არსებული წარმოების პროცესების რეგულირება და მათზე მანდატის გაცემა			დაინტერესებული მხარეების უარყოფითი უკუკავშირი
სასამართლო დავაში ჩართულობა			

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სცენარის ანალიზი

გმ 13. მე-19, მე-20, 21-ე, გმ 10 და გმ 11 პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა ახსნას, როგორ გამოიყენა კლიმატთან დაკავშირებული ისეთი **სცენარის ანალიზი**, რომელიც შეესაბამება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში **ფიზიკური** და **გარდამავალი რისკებისა** და **შესაძლებლობების** გამოვლენისა და შეფასების განმსაზღვრელ გარემოებებს, მათ შორის:

- ა) რომელი **სცენარები** იქნა გამოყენებული, მათი წყაროები და შესაბამისობა მოწინავე სამეცნიერო მიღწევებთან;
- ბ) მოვლენათა აღწერილობა, დროის პერიოდები და დასკვნები, რომელიც გამოყენებულ იქნა იმ საკითხის განხილვისას, თუ რატომ თვლის საწარმო, რომ გამოყენებული სცენარების სპექტრი მოიცავს სავარაუდო რისკებსა და განუსაზღვრელობებს;

- ბ) თითოეულ სცენარში გათვალისწინებული ძირითადი მამოძრავებელი ძალები და გამომწვევი ფაქტორები და რატომ არიან ისინი საწარმოსთვის შესაფერისი, მაგალითად, *პოლიტიკასთან* დაკავშირებული დაშვებები, მაკროეკონომიკური ტენდენციები, ენერჯის მოხმარება და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურა, ასევე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული დაშვებები; და
- დ) სცენარების ძირითადი ამოსავალი მონაცემები და შეზღუდვები, მათ შორის მათი დეტალურობის დონე (მაგალითად, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკების ანალიზი ეფუძნება თუ არა საწარმოს ადგილმდებარეობისთვის სპეციფიკურ გეოსივრცულ კოორდინატებს ან ეროვნული ან რეგიონული დონის ზოგად მონაცემებს).

- გმ 14. *სცენარის ანალიზის* ჩატარებისას, საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი სახელმძღვანელო მითითებები: TCFD-ის მიერ შემუშავებული ტექნიკური დანართი „სცენარის ანალიზის გამოყენება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას“ (“The Use of Scenario Analysis in Disclosure of Climate-Related Risks and Opportunities”) (2017); TCFD-ის მიერ შემუშავებული „სახელმძღვანელო მითითებები სცენარის ანალიზის შესახებ არასაფინანსო კომპანიებისთვის“ (“Guidance on Scenario Analysis for Non-Financial Companies”) (2020); ISO 14091:2021 „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია - სახელმძღვანელო მითითებები მოწყვლადობის, ზემოქმედებისა და რისკის შეფასების შესახებ“ (“Adaptation to climate change — Guidelines on vulnerability, impacts and risk assessment”); მოცემულ სფეროში აღიარებული ნებისმიერი სხვა სტანდარტი, როგორცაა ფინანსური სისტემის გამწვანების ქსელის (Network for Greening the Financial System – NGSF) მიერ შემუშავებული დოკუმენტები, ასევე ევროკავშირის, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი რეგულაციები.
- გმ 15. საწარმომ მოკლედ უნდა ახსნას, თუ როგორ შეესაბამება კლიმატის გამოყენებული *სცენარები* კლიმატთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებებს.

***E1-2 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული პოლიტიკები***

- გმ 16. *კლიმატის ცვლილების შერბილებასთან* ან *ადაპტაციასთან* დაკავშირებული *პოლიტიკების* შესახებ ინფორმაცია შეიძლება ცალ-ცალკე იქნეს გამჟღავნებული, ვინაიდან მათი მიზნები, პროცესში ჩართული ადამიანები, მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსები და *ქმედებები* ერთმანეთისგან განსხვავდება.
- გმ 17. *კლიმატის ცვლილების შერბილებასთან* დაკავშირებული *პოლიტიკები* ეხება საწარმოს საკუთარ ოპერაციებში ან/და მის აღმავალ და დაღმავალ *ღირებულებათა ჯაჭვში*, დროის სხვადასხვა პერიოდებში, *სათბურის აირების გაფრქვევების*, სათბურის აირების მოცილებისა და *გარდამავალი რისკების* მართვას. მე-14 პუნქტის მოთხოვნა შეიძლება ეხებოდეს როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების ცალკეულ პოლიტიკებს, ისე სხვა საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკებს, რომელიც შესაფერისია და ირიბად უჭერს მხარს კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესს, მათ შორისაა *ტრენინგთან* დაკავშირებული პოლიტიკები, შესყიდვების ან *მიწოდების ჯაჭვის* პოლიტიკები, საინვესტიციო ან პროდუქციის განვითარების პოლიტიკები.



გმ 18. *კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასთან* დაკავშირებული *პოლიტიკები* ეხება კლიმატთან დაკავშირებით საწარმოს ფიზიკური რისკების და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასთან დაკავშირებული *გარდამავალი რისკების* მართვას. 22-ე და 25-ე პუნქტების მოთხოვნები შეიძლება ეხებოდეს როგორც კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ცალკეულ პოლიტიკებს, ისე სხვა საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკებს, რომელიც შესაფერისია და ირიბად უჭერს მხარს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის პროცესს, მათ შორისაა *ტრენინგთან* დაკავშირებული პოლიტიკები და გაუთვალისწინებელ, საგანგებო შემთხვევებთან ან ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკები.

### ***E1-3 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების პოლიტიკებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები***

გმ 19. *ქმედებების* შესახებ 29(ა) და 29(ბ) პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმოს შეუძლია:

- ა) გამჟღავნოს ინფორმაცია კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პოლიტიკების დასანერგად საჭირო, განხორციელებული ან/და დაგეგმილი ძირითადი ქმედებების შესახებ, ერთი ქმედების ან სხვადასხვა ქმედებების სახით;
- ბ) აგრეგირებული სახით წარმოადგინოს შემარბილებელი ქმედებების (დეკარბონიზაციის ბერკეტების) ტიპები, როგორებიცაა, მაგალითად, ენერგოეფექტურობა, ელექტრიფიკაცია, საწვავის ალტერნატიულ გზებზე გადასვლა, *განახლებადი ენერჯის* გამოყენება, პროდუქციის ცვლილება და მიწოდების ჯაჭვის დეკარბონიზაცია, რომელიც საწარმოს კონკრეტულ ქმედებებს შეესაბამება;
- ბ) გაზომვად *სამიზნე მაჩვენებლებთან* ერთად წარმოადგინოს ძირითადი შემარბილებელი ქმედებების ჩამონათვალი (როგორც ეს მოითხოვება E1-4 *გამჟღავნების მოთხოვნით*), რომელიც დეზაგრეგირებული იქნება დეკარბონიზაციის ბერკეტების მიხედვით; და
- დ) გამჟღავნოს ინფორმაცია კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისთვის საჭირო ქმედებების შესახებ, ადაპტირების ღონისძიებების ტიპების მიხედვით, როგორებიცაა ბუნების დამზოგავი საადაპტაციო გადაწყვეტილებები, საინჟინრო ან ტექნოლოგიური გადაწყვეტები.

გმ 20. რესურსების შესახებ 29(გ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა გამჟღავნოს მხოლოდ იმ მნიშვნელოვანი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ოდენობები, რომელიც ქმედებების განხორციელებისთვის არის საჭირო, ვინაიდან ამ ინფორმაციის მიზანია ქმედებების სანდოობის დემონსტრირება და არა გამჟღავნებული თანხების ფინანსურ ანგარიშგებასთან შეჯერება. გამჟღავნებული კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების ოდენობები უნდა იყოს მატერიალური და არამატერიალურ აქტივების ზრდა როგორც მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში, ისე ქმედებების განხორციელების პირობებში მომავალ პერიოდებში დაგეგმილი ზრდა. გამჟღავნებული ოდენობები უნდა ასახავდეს მხოლოდ იმ მზარდ ფინანსურ ინვესტიციებს, რომელსაც უშუალო წვლილი შეაქვს საწარმოს *სამიზნე მაჩვენებლების* მიღწევაში.

- გმ 21. ESRS 2 MDR-A-ის მოთხოვნების შესაბამისად, საწარმომ უნდა განმარტოს არის თუ არა და რამდენად არის დამოკიდებული მის მიერ *ქმედებების* განხორციელების უნარი რესურსების ხელმისაწვდომობასა და განაწილებაზე. დაფინანსებაზე მუდმივი წვდომა კაპიტალის ხელმისაწვდომი ღირებულებით შეიძლება კრიტიკული მნიშვნელობის იყოს საწარმოს მიერ ქმედებების განხორციელებისთვის, რაც მოიცავს მიწოდებაში/მოთხოვნაში ცვლილებების ან მასთან დაკავშირებულ შექმნის, ასევე კვლევასა და განვითარებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების კორექტირებას.
- გმ 22. 29(გ) პუნქტის მოთხოვნით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისთვის საჭირო საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ოდენობები უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობის შედეგების ძირითად ინდიკატორებს (კაპიტალური დანახარჯებისა და საოპერაციო დანახარჯების შედეგების ძირითადი ინდიკატორები), და, საჭიროების შემთხვევაში, კაპიტალური დანახარჯების გეგმას, რომელიც (EU) 2021/2178 კომისიის დელეგირებული რეგულაციით მოითხოვება. საწარმომ უნდა განმარტოს ნებისმიერი შესაძლო განსხვავება ამ სტანდარტის შესაბამისად გამჟღავნებულ მნიშვნელოვანი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ოდენობებსა და (EU) 2021/2178 კომისიის დელეგირებული რეგულაციის შესაბამისად გამჟღავნებულ საქმიანობის შედეგების ძირითად ინდიკატორებს შორის, რაც შეიძლება საჭირო გახდეს, მაგალითად, ისეთი ეკონომიკური საქმიანობების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, რომელიც მოცემული დელეგირებული რეგულაციით დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება. საწარმოს შეუძლია საკუთარი ქმედებების სტრუქტურირება მოახდინოს ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით, რათა საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯები და, თუ ეს შესაფერისია, საოპერაციო ან/და კაპიტალური დანახარჯების გეგმა შეუდაროს ტაქსონომიასთან შესაბამისობაში მყოფ საქმიანობის შედეგების ძირითად ინდიკატორებს.

**მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები**

**E1-4 გამჟღავნების მოთხოვნა - კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები**

- გმ 23. 34(ა) პუნქტის შესაბამისად, საწარმოს შეუძლია ინფორმაცია *სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების* სამიზნე მაჩვენებლების შესახებ გაფრქვევების ინტენსივობის სიდიდით/მნიშვნელობით გაამჟღავნოს. ინტენსივობის სამიზნე მაჩვენებლები წარმოადგენს *სათბურის აირების გაფრქვევების* თანაფარდობას ფიზიკური საქმიანობის ან ეკონომიკური შედეგის ერთეულთან. აღნიშნული საქმიანობის ან შედეგის შესაბამისი ერთეულები სექტორულ ESRS სტანდარტებშია მოცემული. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმომ მხოლოდ სათბურის აირების გაფრქვევების ინტენსივობის შემცირების სამიზნე მაჩვენებელი დაადგინა, მან მაინც უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებული აბსოლუტური მნიშვნელობების შესახებ სამიზნე წლისთვის და შუალედური სამიზნე წლ(ებ)ისთვის. ამან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სიტუაცია, როდესაც საწარმო ვალდებული იქნება გაამჟღავნოს ინფორმაცია გაზრდილი სათბურის აირების გაფრქვევების აბსოლუტური სიდიდის/მნიშვნელობის შესახებ სამიზნე წლისთვის და შუალედური სამიზნე წლ(ებ)ისთვის, იმიტომ, რომ, მაგალითად, იგი საკუთარი ბიზნესის ორგანულ ზრდას მოელის.
- გმ 24. 34(ბ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ კონკრეტულად უნდა მიუთითოს *სათბურის აირების გაფრქვევების* თითოეულ შესაბამის *კატეგორიასთან (1-ელი, მე-2 ან მე-3)* დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლის წილი. საწარმომ მკაფიოდ უნდა

მიუთითოს, თუ რა მეთოდი გამოიყენა სამიზნე მაჩვენებლებში გათვალისწინებული მე-2 კატეგორიის სათბურის აირების **გაფრქვევების** გამოსათვლელად (ე.ი. ადგილმდებარეობაზე თუ ბაზარზე დაფუძნებული მეთოდი). თუ **სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლის** საზღვრები განსხვავდება E1-6 **გამჟღავნების მოთხოვნის** შესაბამისად მომზადებული და წარდგენილი სათბურის აირების გაფრქვევების საზღვრებისგან, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ აირებს მოიცავს იგი, ასევე 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიის გაფრქვევების შესაბამისი პროცენტული წილი და სათბურის აირების გაფრქვევების ჯამი, რომლებსაც სამიზნე მაჩვენებელი მოიცავს. შვილობილი საწარმოების სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების **სამიზნე მაჩვენებლების** შესახებ, საწარმომ შვილობილი საწარმოს დონეზეც ეს მოთხოვნები ანალოგიურად უნდა გამოიყენოს.

გმ 25. საბაზისო წლისა და საბაზისო მაჩვენებლის შესახებ 34(გ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას:

- ა) საწარმომ მოკლედ უნდა ახსნას, როგორ უზრუნველყო ის ფაქტი, რომ საბაზისო მაჩვენებელი, რომლის მიმართაც სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის პროგრესი იზომება, ასახავდეს გათვალისწინებულ საქმიანობებს და გარე ფაქტორების გავლენას (მაგალითად, კონკრეტული წლის ტემპერატურული ანომალიები, რაც გავლენას ახდენს ენერჯის მოხმარების ოდენობასა და დაკავშირებულ სათბურის აირების გაფრქვევებზე). ეს შეიძლება გაკეთდეს საბაზისო მაჩვენებლის ნორმალიზებით ან ისეთი საბაზისო მაჩვენებლის გამოყენებით, რომელიც მიღებულია 3 წლის მონაცემების საშუალო მაჩვენებლიდან, თუ ეს ზრდის მონაცემების რეპრეზენტაციულობას და იძლევა უფრო ობიექტური წარდგენის შესაძლებლობას;
- ბ) საწარმომ არ უნდა შეცვალოს საბაზისო მაჩვენებელი და საბაზისო წელი, თუ სამიზნე მაჩვენებელი ან საანგარიშგებო საზღვრები მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა განმარტოს თუ როგორ მოქმედებს დროთა განმავლობაში ეს ახალი საბაზისო მაჩვენებელი ახალ სამიზნე მაჩვენებელზე, მის მიღწევაზე და მიღწევის პროგრესის წარდგენაზე. ახალი **სამიზნე მაჩვენებლების** დაწესებისას, შესადარისობის ხელშეწყობის მიზნით, საწარმომ უნდა აირჩიოს ბოლო/უახლესი საბაზისო წელი, რომელიც სამიზნე პერიოდის პირველ საანგარიშგებო წელს 3 წელზე მეტი ხნით არ უსწრებს. მაგალითად, როდესაც 2030 არის სამიზნე წელი და სამიზნე პერიოდი არის 2025 – 2030 წლების პერიოდი, საბაზისო წელი უნდა შეირჩეს 2022 - 2025 წლების პერიოდიდან;
- გ) საწარმომ მისი საბაზისო წლის განახლება უნდა მოახდინოს 2030 წლიდან. 2030 წლის შემდეგ მან ეს ყოველ ხუთი წელიწადში უნდა გააკეთოს. ეს ნიშნავს, რომ 2030 წლამდე საწარმოს მიერ შერჩეული საბაზისო წელი შეიძლება იყოს ან არსებული სამიზნე მაჩვენებლებისთვის ამჟამად გამოყენებული საბაზისო წელი ან მდგრადობის ანგარიშგების მოთხოვნების გამოყენების პირველი წელი, როგორც ეს დადგენილია (EU) 2022/2464 დირექტივის 5(2) მუხლით (2024, 2025 ან 2026) და 2030 წლის შემდეგ, ყოველი მე-5 წელი (2030, 2035 და ა.შ.); და

დ) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლების წარდგენისას, საწარმოს შეუძლია ინფორმაცია გაამჟღავნოს ამ სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესის შესახებ საწარმოს მიმდინარე საბაზისო წლამდე. ამის გაკეთებისას, საწარმომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, რომ წარსულში მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაცია წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებს შეესაბამება. მეთოდოლოგიური განსხვავებების შემთხვევაში, მაგალითად, სამიზნე მაჩვენებლების საზღვრებთან დაკავშირებით, საწარმომ ამ განსხვავებების შესახებ მოკლე ახსნა-განმარტება უნდა წარმოადგინოს.

გმ 26. 34(დ) და 34(ე) პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა წარადგინოს ინფორმაცია სამიზნე პერიოდზე, თუ შესაძლებელია, კონკრეტული სექტორის ან სხვადასხვა სექტორების გაფრქვევების გეგმების თაობაზე, რომელიც შესაბამისობაშია გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან. ამ მიზნით, საწარმომ უნდა გამოთვალოს გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან შესაბამისობაში მყოფი საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებლის სიდიდე 1-ელი და მე-2 კატეგორიის გაფრქვევებისთვის (და, თუ ეს შესაფერისია, ცალკე - მე-3 კატეგორიის გაფრქვევებისთვის), რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება საწარმოს საკუთარი სათბურის აირების **გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების** ან შუალედური სამიზნე მაჩვენებლების შედარება გაფრქვევების შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.

გმ 27. საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალოს საბაზისო წლის სათბურის აირების **გაფრქვევების** გამრავლებით ან კონკრეტული სექტორის (სექტორის დეკარბონიზაციის მეთოდოლოგია (sectoral decarbonization methodology)) ან სხვადასხვა სექტორების (შეკუმშვის მეთოდოლოგია (contraction methodology)) **გაფრქვევების შემცირების** კოეფიციენტზე. გაფრქვევების შემცირების კოეფიციენტი შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა წყაროებიდან. საწარმო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოყენებული წყარო ეფუძნება გაფრქვევების შემცირების იმ გეგმას, რომელიც შესაბამისობაშია გლობალური დათბობის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან.

გმ 28. **გაფრქვევების შემცირების** კოეფიციენტის გამოთვლის წესი კიდევ დასაზუსტებელია. შესაბამისად, რეკომენდებულია საწარმოებმა მხოლოდ განახლებული საჯარო ინფორმაცია გამოიყენონ.

	2030	2050
სხვადასხვა სექტორების (აბსოლუტური შეკუმშვის მიდგომა (Absolute Contraction Approach) (ACA)) გაფრქვევების შემცირების გეგმა, სადაც საორიენტაციო წლად განსაზღვრულია 2020	-42%	-90%

წყარო: ეფუძნება წმინდა ნულოვანი გაფრქვევების მიღწევის გეგმას - SBTi ტექნიკური შემაჯამებელი დოკუმენტი (Pathways to Net-zero –SBTi Technical Summary) (Version 1.0, ოქტომბერი 2021)


გმ 29. საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებელი დამოკიდებულია საწარმოს სათბურის აირების **გაფრქვევების შემცირების** სამიზნე მაჩვენებლის დადგენისას გათვალისწინებულ საბაზისო წელზე და საბაზისო **გაფრქვევებზე**. შედეგად, საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებელი იმ საწარმოებისთვის, რომელთაც არჩეული აქვთ უახლოესი საბაზისო წელი ან შედარებით მაღალი საბაზისო გაფრქვევები შეიძლება ნაკლებ რთული მისაღწევი იყოს, ვიდრე იმ საწარმოებისთვის,

რომლებმაც სათბურის აირების გაფრქვევების შესამცირებლად წარსულში უკვე განახორციელეს ამბიციური *ქმედებები*. აქედან გამომდინარე, საწარმოებმა, რომლებმაც წარსულში შეამცირეს სათბურის აირების გაფრქვევები ისე, რომ იგი შეესაბამება გლობალური დათბობის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან შესაბამისობაში მყოფ კონკრეტული სექტორის ან სხვადასხვა სექტორების გეგმას, შეუძლიათ საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებლის დადგენის მიზნით თავიანთი საბაზისო გაფრქვევები საჭიროებისამებრ დააკორექტირონ. შესაბამისად, თუ საწარმო საორიენტაციო სამიზნე მაჩვენებლის დადგენის მიზნით საბაზისო გაფრქვევებს აკორექტირებს, მან არ უნდა განიხილოს 2020 წლამდე პერიოდების სათბურის აირების გაფრქვევების შემცირება, ამასთანავე, მან უნდა წარმოადგინოს მის მიერ წარსულში მიღწეული სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სათანადო მტკიცებულება.

გმ 30. 34(ვ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს:

- ა) *კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებებზე* მითითებით, *დეკარბონიზაციის ბერკეტები* და სათბურის აირების *გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების* მიღწევის პროცესში მათ მიერ შეტანილი წვლილი, შეფასებული რაოდენობრივი მაჩვენებლის სახით. საწარმომ ეს ინფორმაცია უნდა ჩაშალოს თითოეული კატეგორიის მიხედვით (1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიები);
- ბ) გეგმავს თუ არა იგი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას და ამ ტექნოლოგიების როლი საწარმოს მიერ სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროცესში; და
- გ) გარემოსდაცვითი, სოციალური, ტექნოლოგიებთან, ბაზართან და პოლიტიკასთან დაკავშირებული შესაბამისი მოვლენების გამოვლენის და დეკარბონიზაციის ბერკეტების განსაზღვრის მიზნით, განიხილა თუ არა მან კლიმატის მრავალი სხვადასხვა სცენარი, სულ მცირე კლიმატის ისეთი სცენარი, რომელიც შეესაბამება გლობალური დათბობის 1.5°C-მდე შემცირების პირობას და როგორ გააკეთა ეს.

გმ 31. საწარმოს შეუძლია სათბურის აირების *გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები* წარმოადგინოს *კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებებთან* ერთად (იხილეთ გმ 19 პუნქტი) ცხრილის ან ვიზუალური სქემის სახით, სადაც დროთა განმავლობაში განვითარებული მოვლენებია ნაჩვენები. ქვემოთ მოყვანილი სქემა და ცხრილი სამიზნე მაჩვენებლებისა და დეკარბონიზაციის ბერკეტების ერთობლივად წარმოდგენის მაგალითს ასახავს.



	საბაზისო წელი (მაგ., 2025)	2030 წლის სამიზნე მაჩვენებელი	2035 წლის სამიზნე მაჩვენებელი	...	სამიზნე მაჩვენებელი 2050 წლამდე
სათურის აირების გაფრქვევები (კტCO <sub>2</sub> ეკვ.)	100	60	40		
ენერგოეფექტურობა და მოხმარების შემცირება	-	-10	-4		
მასალების ეფექტურობა და მოხმარების შემცირება	-	-5	-		
საწვავის ალტერნატიულ გზებზე გადასვლა	-	-2	-		
ელექტრიფიკაცია	-	-	-10		
განახლებადი ენერჯის გამოყენება	-	-10	-3		
პროდუქტის ეტაპობრივი გაუქმება, ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია	-	-8	-		
პროცესის ეტაპობრივი გაუქმება, ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია	-	-5	-3		
სხვა	-	-	-		

*გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები*

გმ 32. ენერჯის მოხმარების შესახებ 35-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ:

- ა) ინფორმაცია უნდა მოამზადოს და წარადგინოს მხოლოდ იმ პროცესებიდან მოხმარებული ენერჯის შესახებ, რომელსაც იგი ფლობს ან აკონტროლებს, იმავე პერიმეტრის გამოყენებით, რომელიც მან 1-ელი და მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების წარდგენისას გამოიყენა;
- ბ) უნდა გამორიცხოს ის სამრეწველო ნედლეული და საწვავი, რომლის დაწვა ენერჯის მოხმარების მიზნებისთვის არ მომხდარა. საწარმოს, რომელიც საწვავს სამრეწველო ნედლეულის სახით მოიხმარს, შეუძლია ასეთი ტიპის მოხმარების შესახებ ინფორმაცია სავალდებულო ინფორმაციისგან განცალკევებით გაამჟღავნოს;
- ბ) უნდა უზრუნველყოს, რომ ენერჯისთან დაკავშირებული ყველა რაოდენობრივი ინფორმაცია მომზადებული და წარდგენილია მეგავატ-საათში (მგვტ.სთ) დაბალი თბოწარმოქმნის კოეფიციენტით ან წმინდა სითბური კოეფიციენტით. თუ ენერჯისთან დაკავშირებული ინფორმაციის დაუმუშავებელი მონაცემები ხელმისაწვდომია არა მგვტ.სთ-ებში, არამედ სხვა ენერჯეტიკულ ერთეულებში (როგორცაა გიგა-ჯოულები (გჯ) ან ბრიტანული სითბური ერთეულები (ბსე)), მოცულობის ერთეულებში (კუბური ფუტი ან გალონი) ან მასის ერთეულებში (კილოგრამი ან ფუნტი/გირვანქა), საწარმომ ისინი უნდა გადაიყვანოს მგვტ.სთ-ებში შესაბამისი გადამყვანი კოეფიციენტების გამოყენებით (იხილეთ, მაგალითად, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მეხუთე შეფასების (Fifth Assessment IPCC report) II დანართი). საწვავებისთვის გადამყვანი კოეფიციენტები უნდა იყოს გამჭვირვალე და საწარმომ ისინი თანმიმდევრულად უნდა გამოიყენოს;
- დ) უნდა უზრუნველყოს, რომ ენერჯისთან დაკავშირებული ყველა რაოდენობრივი ინფორმაცია მომზადებული და წარდგენილია ენერჯის საბოლოო მოხმარების სახით, რაც მოიცავს ენერჯის იმ რაოდენობას, რომელსაც საწარმო სინამდვილეში მოიხმარს, მაგალითად, ენერჯოეფექტურობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/27 დირექტივის<sup>26</sup> IV დანართში მოცემული ცხრილის გამოყენებით;
- ე) თვითგამომუშავებული ენერჯის მოხმარების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, თავიდან უნდა აირიდოს საწვავის მოხმარების გამოთვლის დუბლირება. თუ საწარმო გამოიმუშავებს ელექტროენერჯის არაგანახლებადი ან განახლებადი საწვავის წყაროდან და შემდეგ მოიხმარს ამ გამოიმუშავებულ ელექტროენერჯის, ენერჯის მოხმარება უნდა დაითვალოს მხოლოდ ერთხელ, საწვავის მოხმარების გამოთვლისას;

<sup>26</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/27/EU დირექტივა ენერჯოეფექტურობის შესახებ - Directive 2012/27/EU of the European Parliament and of the Council on energy efficiency, amending Directives 2009/125/EC and 2010/30/EU and repealing Directives 2004/8/EC and 2006/32/EC (OJ L 315, 14.11.2012, p. 1).

- 3) არ უნდა მოახდინოს ენერჯის მოხმარების ურთიერთჩათვლა, მაშინაც კი თუ **საქმიანობის განხორციელების ადგილას** გამომუშავებული ენერჯია მიყიდა მესამე მხარეს ან ამ ენერჯიას იყენებს მესამე მხარე;
- ზ) არ უნდა დაითვალოს ენერჯია, რომელიც მიიღო ორგანიზაციული საზღვრების შიგნით არსებული წყაროდან „შესყიდული ან მიღებული“ ენერჯის სტატუსით;
- თ) მესამე მხარის სამრეწველო პროცესების შედეგად „მონარჩენი ენერჯის“ სახით მიღებული სითბო, ორთქლი და გაგრილება უნდა აღრიცხოს „შესყიდული ან მიღებული“ ენერჯის სტატუსით;
- ი) განახლებადი წყალბადი უნდა აღრიცხოს როგორც განახლებადი საწვავი<sup>27</sup>. წყალბადი, რომელიც მთლიანად არ მიიღება განახლებადი წყაროებიდან, უნდა წარმოადგინოს სტატუსით „სხვა არაგანახლებადი წყაროებიდან მიღებული საწვავის მოხმარება“;
- კ) ელექტროენერჯის, სითბოს, ორთქლის ან გაგრილების წყაროების განახლებად და არაგანახლებად წყაროებად დაყოფისას უნდა გამოიყენოს კონსერვატიული მიდგომა, რომელიც ეფუძნება იმ მიდგომას, რომელიც გამოიყენება მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების ბაზარზე დაფუძნებული გამოთვლის მეთოდს. ენერჯის მოხმარების გამოთვლისას, საწარმომ ეს ენერჯია უნდა განიხილოს განახლებადი წყაროდან წარმოქმნილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესყიდული ენერჯის წარმოშობა მკაფიოდ არის დადგენილი **მომწოდებლებთან** გაფორმებულ სახელშეკრულებო შეთანხმებებში (განახლებადი ენერჯის შესყიდვის შეთანხმება, მწვანე ელექტროენერჯის სტანდარტიზებული ტარიფი, საბაზრო ინსტრუმენტები, როგორცაა განახლებადი წყაროებიდან წარმოშობის გარანტიის სერტიფიკატი (Guarantee of Origin) ევროპაში<sup>28</sup> ან მსგავსი ინსტრუმენტები, როგორცაა განახლებადი ენერჯის სერტიფიკატები (Renewable Energy Certificates) აშშ-სა და კანადაში და სხვ.).

გმ 33. 37(ა) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაცია შესაფერისია, თუ საწარმო **კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე** სულ მცირე ერთ **სექტორში** მაინც ფუნქციონირებს. 38 (ა) - (ე) პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას წიაღისეული წყაროებიდან მიღებული ისეთი ენერჯის შესახებაც, რომელიც მოიხმარება ისეთ ოპერაციებში, რომლებიც კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში არ ხორციელდება.

გმ 34. ენერჯის მოხმარებისა და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქვემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით, **კლიმატის ცვლილებებზე**

<sup>27</sup> შეესაბამება განახლებადი წყაროებიდან მიღებული წყალბადის შესახებ შემდეგი დელეგირებული აქტების მოთხოვნებს: Commission delegated regulation of 10 February 2023 supplementing Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council by establishing a Union methodology setting out detailed rules for the production of renewable liquid and gaseous transport fuels of non-biological origin; და Commission delegated regulation of 10 February 2023 supplementing Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council by establishing a minimum threshold for greenhouse gas emissions savings of recycled carbon fuels and by specifying a methodology for assessing greenhouse gas emissions savings from renewable liquid and gaseous transport fuels of non-biological origin and from recycled carbon fuel.

<sup>28</sup> ეფუძნება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/2001 დირექტივას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების წახალისების შესახებ - Based on Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council on the promotion of the use of energy from renewable sources.



**ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებისთვის.** იგივე ცხრილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა სხვა სექტორისთვის (1)-დან (5) სტრიქონების გამოტოვების შემთხვევაში.

ენერჯის მოხმარება და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურა	შედარებითი	წელი N
(1) ქვანახშირისგან და ქვანახშირის პროდუქტებისგან მიღებული საწვავის მოხმარება (მგვტ.სთ)		
(2) ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისგან მიღებული საწვავის მოხმარება (მგვტ.სთ)		
(3) ბუნებრივი აირიდან მიღებული საწვავის მოხმარება (მგვტ.სთ)		
(4) სხვა წიაღისეული წყაროებიდან მიღებული საწვავის მოხმარება (მგვტ.სთ)		
(5) წიაღისეული წყაროებიდან მიღებული შესყიდული ან მიღებული ელექტროენერჯის, სითბოს, ორთქლის და გაგრილების მოხმარება (მგვტ.სთ)		
<b>(6) სულ წიაღისეული ენერჯის მოხმარება (მგვტ.სთ) (1-დან 5 სტრიქონების ჯამი)</b>		
<b>წიაღისეული წყაროების წილი ენერჯის ჯამურ მოხმარებაში (%)</b>		
<b>(7) ბირთვული წყაროებიდან მიღებული ენერჯის მოხმარება (მგვტ.სთ)</b>		
<b>ბირთვული წყაროებიდან მიღებული ენერჯის მოხმარების წილი ენერჯის ჯამურ მოხმარებაში (%)</b>		
(8) საწვავის მოხმარება ისეთი განახლებადი წყაროებისთვის, როგორცაა ბიომასა (მოიცავს ასევე ბიოლოგიური წარმოშობის სამრეწველო და მუნიციპალურ ნარჩენებს), ბიოსაწვავი, ბიოგაზი, განახლებადი წყაროებიდან მიღებული წყალბადი და ა.შ. (მგვტ.სთ)		
(9) შესყიდული ან მიღებული ისეთი ელექტროენერჯის, სითბოს, ორთქლის ან გაგრილების მოხმარება, რომელიც განახლებადი წყაროებიდანაა მიღებული (მგვტ.სთ)		
(10) თვითგამომუშავებული არასაწვავი განახლებადი ენერჯის მოხმარება (მგვტ.სთ)		
<b>(11) სულ განახლებადი ენერჯის მოხმარება (მგვტ.სთ) (8-დან 10 სტრიქონების ჯამი)</b>		
<b>განახლებადი წყაროების წილი ენერჯის ჯამურ მოხმარებაში (%)</b>		
<b>სულ ენერჯის მოხმარება (მგვტ.სთ) (მე-6 და მე-11 სტრიქონების ჯამი)</b>		

გმ 35. ენერჯის ჯამური მოხმარება, სადაც გამოყოფილი იქნება წიაღისეული, ბირთვული და განახლებადი ენერჯის მოხმარება, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს *მდგრადობის ანგარიშგებაში* გრაფიკულად, სადაც დროთა განმავლობაში განვითარებული მოვლენები იქნება ნაჩვენები (მაგალითად, სექტორული ან სვეტოვანი დიაგრამის სახით).

## ენერჯის მოხმარების ინტენსივობა, დაფუძნებული წმინდა ამონაგებზე

### გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები

გმ 36. ენერჯის მოხმარების ინტენსივობის შესახებ მე-40 პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ:

- ა) ენერჯის მოხმარების ინტენსივობის მაჩვენებელი უნდა გამოთვალოს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

ენერჯის ჯამური მოხმარება კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებულ საქმიანობებში (მგვტ.სთ)

წმინდა ამონაგები კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებული საქმიანობებიდან (ფულადი ერთეული)

- ბ) ენერჯის ჯამური მოხმარება უნდა გამოსახოს მგვტ.სთ-ებში, ხოლო წმინდა ამონაგები - ფულად ერთეულებში (მაგ., ევროში);
- გ) მრიცხველსა და მნიშვნელში უნდა წარმოადგინოს მხოლოდ კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებული საქმიანობებისთვის დამახასიათებელი ენერჯის საბოლოო ჯამური მოხმარებისა (მრიცხველში) და წმინდა ამონაგების (მნიშვნელში) თანაფარდობა. ფაქტობრივად, მრიცხველსა და მნიშვნელში წარმოდგენილი ინფორმაციის მასშტაბი უნდა იყოს ერთმანეთის შესაბამისი;
- დ) ენერჯის ჯამური მოხმარება უნდა გამოთვალოს 37-ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;
- ე) წმინდა ამონაგები უნდა გამოთვალოს ბუღალტრული აღრიცხვის იმ სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ფინანსური ანგარიშგებისთვის არის გამოყენებული, ე.ი. ფასს 15 – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ ან ადგილობრივ დონეზე საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მოთხოვნები.

გმ 37. რაოდენობრივი ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

ენერჯის მოხმარების ინტენსივობა წმინდა ამონაგებზე	შედარებითი	N	% N / N-1
კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებულ საქმიანობებში ენერჯის ჯამური მოხმარების ფარდობა კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებული საქმიანობებიდან მიღებულ წმინდა ამონაგებთან (მგვტ.სთ/ფულადი ერთეული)			

*წმინდა ამონაგებზე დაფუძნებული ენერჯის მოხმარების ინტენსივობის კავშირი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციასთან*

გმ 38. კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებული საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ამონაგების შეჯერება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლთან ან განმარტებით შენიშვნასთან (როგორც ეს დადგენილია 43-ე პუნქტით) შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ან:

- ა) ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე ან განმარტებით შენიშვნაზე ჯვარედინი მითითების სახით; ან
- ბ) თუ არ ხერხდება წმინდა ამონაგების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლთან ან განმარტებით შენიშვნასთან ჯვარედინი მითითებით პირდაპირ დაკავშირება, მაშინ რაოდენობრივი შეჯერების სახით ქვემოთ მოცემული ცხრილური ფორმის გამოყენებით:

ენერჯის მოხმარების ინტენსივობის გამოსათვლელად გამოყენებული წმინდა ამონაგები კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებული საქმიანობებიდან	
წმინდა ამონაგები (სხვა)	
სულ წმინდა ამონაგები (ფინანსური ანგარიშგება)	

***E1-6 გამჟღავნების მოთხოვნა - მთლიანი 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიების გაფრქვევები და სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად***

---

*გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები*

გმ 39. სათბურის აირების **გაფრქვევების** შესახებ 44-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ უნდა:

- ა) გაითვალისწინოს სათბურის აირების პროტოკოლის კორპორაციული სტანდარტის (GHG Protocol Corporate Standard) 2004 წლის გამოცემით დადგენილი პრინციპები, მოთხოვნები და სახელმძღვანელო მითითებები. საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაცია (EU) 2021/2279<sup>29</sup> ან EN ISO 14064-1:2018 სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები. თუ საწარმო უკვე იყენებს ISO 14064-1:2018-ით დადგენილ სათბურის აირების აღრიცხვის მეთოდოლოგიას, მან ამ სტანდარტის მოთხოვნები მაინც უნდა შეასრულოს (მაგ., საანგარიშგებო საზღვრებთან და ბაზარზე დაფუძნებულ სათბურის აირების მე-2 კატეგორიის გაფრქვევებთან დაკავშირებით);
- ბ) გაამჟღავნოს ინფორმაცია სათბურის აირების გაფრქვევების გამოთვლის ან გაზომვისას გამოყენებული მეთოდოლოგიების, მნიშვნელოვანი დაშვებებისა და გაფრქვევების კოეფიციენტების შესახებ, რასაც თან უნდა ერთვოდეს მიზეზები იმისა, თუ რატომ აირჩია ისინი საწარმომ, ასევე მითითება ან ბმული გამოყენებულ გამოთვლის ინსტრუმენტებზე;
- გ) წარმოადგინოს ინფორმაცია CO<sub>2</sub>, CH<sub>4</sub>, N<sub>2</sub>O, HFC-ების, PFC-ების, SF<sub>6</sub> და NF<sub>3</sub> გაფრქვევების შესახებ. შეიძლება განხილულ იქნეს სხვა სათბურის აირებიც, თუ ისინი მნიშვნელოვანია; და
- დ) ნახშირბადის გარდა სხვა აირებისთვის CO<sub>2</sub>ეკვ. გაფრქვევების გამოთვლისას, გამოიყენოს IPCC-ის მიერ გამოქვეყნებული, 100 წლიან დროის პერიოდზე დაფუძნებული, **გლობალური დათბობის პოტენციალის (გდპ)** უახლესი მაჩვენებლები.

გმ 40. მეკავშირე საწარმოების, ერთობლივი საწარმოების, არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების (საინვესტიციო სუბიექტები) და სახელშეკრულებო შეთანხმებების მიერ წარმოქმნილი სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ 50-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ უნდა მოახდინოს იმ სუბიექტების

---

<sup>29</sup> 2021 წლის 15 დეკემბრის კომისიის რეკომენდაცია (EU) 2021/2279 - Commission Recommendation (EU) 2021/2279 on the use of the Environmental Footprint methods to measure and communicate the life cycle environmental performance of products and organisations (OJ L 471, 30.12.2021, p. 1).

სათბურის აირების გაფრქვევების 100%-ით კონსოლიდირება, რომელზეც იგი საოპერაციო კონტროლს ახორციელებს. პრაქტიკაში ეს ხდება მაშინ, როდესაც საწარმო ფლობს მეკავშირე საწარმოების, ერთობლივი საწარმოების, არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების (საინვესტიციო სუბიექტები) და სახელშეკრულებო შეთანხმებების აქტივების გამოყენების ლიცენზიას - ან ნებართვას. როდესაც საწარმო ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საოპერაციო კონტროლს ნახევარ განაკვეთზე, მან უნდა მოახდინოს იმ სათბურის აირების 100%-ით კონსოლიდირება, რომელიც მის მიერ საოპერაციო კონტროლის განხორციელების პერიოდში გამოიფრქვა.

გმ 41. ESRS 1-ის 3.7 თავის შესაბამისად, საწარმომ, საჭიროებისამებრ, უნდა მოახდინოს საკუთარი სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ ინფორმაციის დეზაგრეგირება. მაგალითად, საწარმოს შეუძლია მოახდინოს 1-ელი, მე-2, მე-3 კატეგორიის გაფრქვევების დეზაგრეგირება ან სათბურის აირების ჯამური **გაფრქვევების** დეზაგრეგირება ქვეყნის, საოპერაციო სეგმენტების, ეკონომიკური საქმიანობის, შვილობილი საწარმოების, სათბურის აირების კატეგორიების (O<sub>2</sub>, CH<sub>4</sub>, N<sub>2</sub>O, HFC-ების, PFC-ების, SF<sub>6</sub>, NF<sub>3</sub> და საწარმოს მიერ განხილული სხვა სათბურის აირების) ან წყაროს ტიპის (სტაციონარული ტექნიკის მიერ საწვავის წვა, მოძრავი ტექნიკის მიერ საწვავის წვა, წარმოების ან გადამუშავების პროცესის გაფრქვევები და არაორგანიზებული გაფრქვევები) მიხედვით.

გმ 42. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი შეიძლება განსხვავდებოდეს მისი ღირებულებათა ჯაჭვის ზოგიერთი ან ყველა სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდებისგან. ასეთ ვითარებაში, საწარმოს აქვს უფლება საკუთარი სათბურის აირების გაფრქვევები, 44-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, გაზომოს საკუთარი საანგარიშგებო პერიოდისგან განსხვავებული საანგარიშგებო პერიოდების ინფორმაციის გამოყენებით, თუ მან ეს ინფორმაცია მიიღო მისი ღირებულებათა ჯაჭვის იმ სუბიექტებიდან, რომელთა საანგარიშგებო პერიოდები განსხვავდება საწარმოს საანგარიშგებო პერიოდისგან, იმ პირობით რომ:

- ა) საწარმო, საკუთარი სათბურის აირების გაფრქვევების გაზომვისა და გამჟღავნებისას, იყენებს მისი ღირებულებათა ჯაჭვის სუბიექტებისგან მიღებულ უახლეს მონაცემებს;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდების ხანგრძლივობა ერთი და იგივეა; და
- გ) საწარმო ამჟღავნებს ინფორმაციას იმ მნიშვნელოვანი მოვლენების შედეგებისა და იმ გარემოებების (საწარმოს სათბურის აირების გაფრქვევებისთვის შესაფერისი გარემოებების) ცვლილებების შესახებ, რომელიც ხდება საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვის სუბიექტების საანგარიშგებო თარიღებსა და საწარმოს ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის.

გმ 43. **სათბურის აირების 1-ელი კატეგორიის** მთლიანი **გაფრქვევების** შესახებ 48(ა) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ:

- ა) უნდა გამოთვალოს ან გაზომოს სტაციონარული ტექნიკის მიერ საწვავის წვასთან, მოძრავი ტექნიკის მიერ საწვავის წვასთან, წარმოების ან გადამუშავების პროცესის გაფრქვევებთან და არაორგანიზებულ გაფრქვევებთან დაკავშირებული სათბურის აირების გაფრქვევები; ამასთანავე გამოიყენოს საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი შესაფერისი მონაცემები, რომელიც არაგანახლებადი საწვავის მოხმარებას მოიცავს;

- ბ) უნდა გამოიყენოს გაფრქვევების თანმიმდევრული და შესაფერისი კოეფიციენტები;
- გ) ბიომასის წვის ან ბიოდეგრადაციის შედეგად მიღებული CO<sub>2</sub>-ის ბიოგენური გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს სათბურის აირების 1-ელი კატეგორიის გაფრქვევებისგან განცალკევებით, მაგრამ უნდა შეიტანოს ინფორმაცია სხვა ტიპის სათბურის აირების (კერძოდ CH<sub>4</sub> და N<sub>2</sub>O) გაფრქვევების შესახებ;
- დ) სათბურის აირების 1-ელი კატეგორიის გაფრქვევების გამოთვლისას არ უნდა გაითვალისწინოს არცერთი მოცილება, ან შესყიდული, გაყიდული ან გადაცემული ნახშირბადის კრედიტი ან სათბურის აირების ნებადართული გაფრქვევები; და
- ე) იმ საქმიანობებისთვის, რომელთა შესახებ ანგარიშგება EU ETS-ის (European Union Emissions Trading Scheme - ევროკავშირის გაფრქვევებით ვაჭრობის სქემა) შესაბამისად ხდება, 1-ელი კატეგორიის გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია უნდა მოამზადოს და წარადგინოს EU ETS-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად. EU ETS-ის მეთოდოლოგია შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს ისეთ გეოგრაფიულ არეალსა და სექტორებში განხორციელებული საქმიანობებისთვის, რომელსაც EU ETS-ი არ ფარავს.

გმ 44. გაფრქვევებით ვაჭრობის სქემით რეგულირებული 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების **გაფრქვევების** პროცენტული წილის შესახებ 48(ბ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ უნდა:

- ა) გაითვალისწინოს სათბურის აირების გაფრქვევები მის მიერ ოპერირებული იმ **ტექნიკური მოწყობილობებიდან**, რომელიც ექვემდებარება გაფრქვევებით ვაჭრობის რეგულირებულ სქემებს (ETS), მათ შორის ევროკავშირის ფარგლებში მოქმედ სქემებს (EU ETS), ეროვნულ სქემებს და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მოქმედ სქემებს, თუ ეს შესაფერისია;
- ბ) ასახოს მხოლოდ შემდეგი გაფრქვევები: CO<sub>2</sub>, CH<sub>4</sub>, N<sub>2</sub>O, HFC-ები, PFC-ები, SF<sub>6</sub> და NF<sub>3</sub>;
- გ) უზრუნველყოს, რომ 1-ელი კატეგორიის სათბურის აირებისა და ETS-ით რეგულირებული სათბურის აირების მთლიანი გაფრქვევების სააღრიცხვო პერიოდი ერთი და იგივე იყოს; და
- დ) გამოთვალოს პროცენტული წილი შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

სათბურის აირების გაფრქვევები (ტCO<sub>2</sub>ეკვ.) EU ETS ტექნიკური მოწყობილობებიდან +  
ეროვნული ETS ტექნიკური მოწყობილობებიდან +  
ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებული ETS ტექნიკური მოწყობილობებიდან

---

1-ელი კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევები (ტ CO<sub>2</sub>ეკვ.)

გმ 45. მე-2 კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი **გაფრქვევების** შესახებ 49-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ უნდა:

- ა) გაითვალისწინოს ის პრინციპები და მოთხოვნები, რომლებიც წარმოდგენილია დოკუმენტში - სათბურის აირების პროტოკოლი: სახელმძღვანელო მითითებები მე-2 კატეგორიის გაფრქვევების შესახებ (GHG Protocol Scope 2 Guidance) (2015 წლის გამოცემა, კერძოდ, 7.1 თავში წარმოდგენილი სახელშეკრულებო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მე-2 კატეგორიის გაფრქვევების ხარისხის კრიტერიუმები); საწარმოს ასევე შეუძლია გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაცია (EU) 2021/2279 ან EN ISO 14064-1:2018 სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები იმპორტირებული ენერჯიდან წარმოქმნილი სათბურის აირების არაპირდაპირი გაფრქვევების რაოდენობრივი განსაზღვრისთვის;
- ბ) ასახოს საწარმოს მიერ მოხმარებული შესყიდული ან მიღებული ელექტროენერგია, სითბო, ორთქლი და გაგრილება;
- გ) აირიდოს თავიდან უკვე ასახული 1-ელი ან მე-3 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების გამოთვლის დუბლირება.
- დ) მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების გამოსათვლელად უნდა გამოიყენოს ადგილმდებარეობაზე და ბაზარზე დაფუძნებული მეთოდები და უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია სახელშეკრულებო ინსტრუმენტების წილისა და ტიპების შესახებ. ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული მეთოდით განისაზღვრება მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების რაოდენობა, ენერჯის გამომუშავებასთან დაკავშირებული გაფრქვევების საშუალო კოეფიციენტების საფუძველზე, განსაზღვრული ადგილმდებარეობებისთვის, ადგილობრივი სუბნაციონალური ან ეროვნული საზღვრების ჩათვლით (სათბურის აირების პროტოკოლი „სახელმძღვანელო მითითებები მე-2 კატეგორიის გაფრქვევების შესახებ“ (GHG Protocol, “Scope 2 Guidance”), გლოსარი, 2015). ბაზარზე დაფუძნებული მეთოდით განისაზღვრება მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევების რაოდენობა, ენერჯის იმ წყაროებიდან (გენერატორებიდან) გამოშვებული სათბურის აირების გაფრქვევების საფუძველზე, რომლიდანაც ანგარიშვალდებული სუბიექტი ხელშეკრულებით შეისყიდის ელექტროენერგიას ინსტრუმენტების პაკეტთან ერთად ან განცალკევებულ ინსტრუმენტებს დამოუკიდებლად (სათბურის აირების პროტოკოლი „სახელმძღვანელო მითითებები მე-2 კატეგორიის გაფრქვევების შესახებ“ (GHG Protocol, “Scope 2 Guidance”), გლოსარი, 2015). ამ შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია ინფორმაცია გაამჟღავნოს ბაზარზე დაფუძნებული გამოთვლის შედეგად მიღებული მე-2 კატეგორიის სათბურის აირების იმ გაფრქვევების წილის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინსტრუმენტების

პაკეტთან (როგორებიცაა წარმოშობის გარანტიის სერტიფიკატი (Guarantee of Origins) ან განახლებადი ენერჯის სერტიფიკატები (Renewable Energy Certificates)) ერთად შესყიდულ ელექტროენერჯიასთან. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ სახელშეკრულებო ინსტრუმენტების წილისა და ტიპების შესახებ, რომელიც გამოყენებული იყო იმ ენერჯის გაყიდვისთვის ან შესყიდვისთვის, რომელსაც თან ახლავს ენერჯის წარმოშობის წყაროს სერტიფიკატები ან განახლებადი ენერჯის განცალკევებული სერტიფიკატები.

- ე) ბიომასის წვის ან ბიოდეგრადაციის შედეგად მიღებული CO<sub>2</sub>-ის ბიოგენური გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს სათბურის აირების მე-2 კატეგორიის გაფრქვევებისგან განცალკევებით, მაგრამ მე-2 კატეგორიის გაფრქვევებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სხვა ტიპის სათბურის აირების (კერძოდ, CH<sub>4</sub> და N<sub>2</sub>O) გაფრქვევები. იმ შემთხვევაში, თუ გაფრქვევების გამოყენებული კოეფიციენტები არ აცალკევებს ბიომასის ან ბიოგენური CO<sub>2</sub>-ის პროცენტულ წილს, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ CO<sub>2</sub>-ის გარდა სხვა სათბურის აირების გაფრქვევები (კერძოდ, CH<sub>4</sub> და N<sub>2</sub>O) არ არის ხელმისაწვდომი ან არ შედის ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული ქსელის გაფრქვევების საშუალო კოეფიციენტში ან ბაზარზე დაფუძნებული მეთოდით მიღებულ ინფორმაციაში, საწარმომ ეს ინფორმაციაც უნდა გაამჟღავნოს.
- ვ) სათბურის აირების მე-2 კატეგორიის გაფრქვევების გამოთვლისას არ უნდა გაითვალისწინოს არცერთი მოცილება, ან შესყიდული, გაყიდული ან გადაცემული ნახშირბადის კრედიტი ან სათბურის აირების ნებადართული გაფრქვევები.

გმ 46. მე-3 კატეგორიის სათბურის აირების მთლიანი **გაფრქვევების** შესახებ 51-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ უნდა:

- ა) გაითვალისწინოს ის პრინციპები და დებულებები, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში - სათბურის აირების პროტოკოლი: კორპორაციული ღირებულებათა ჯაჭვის (მე-3 კატეგორიის გაფრქვევები) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სტანდარტის (GHG Protocol Corporate Value Chain (Scope 3) Accounting and Reporting Standard ) 2011 წლის გამოცემა; ასევე, მას შეუძლია გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაცია (EU) 2021/2279 ან EN ISO 14064-1:2018 სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები იმპორტირებული ენერჯიდან წარმოქმნილი სათბურის აირების არაპირდაპირი გაფრქვევების რაოდენობრივი განსაზღვრისთვის;
- ბ) თუ საწარმო წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს, მან უნდა გაითვალისწინოს PCAF-ის (Partnership for Carbon Accounting Financial - პარტნიორობა ნახშირბადის გაფრქვევების აღრიცხვის ფინანსური ანგარიშგებისთვის) მიერ შემუშავებული შემდეგი დოკუმენტის პრინციპები და დებულებები - სათბურის აირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სტანდარტი ფინანსური ინდუსტრიისთვის (GHG Accounting and Reporting Standard for the Financial Industry), კერძოდ ნაწილი ა - „დაფინანსებული გაფრქვევები“ (Financed Emissions) (2022 წლის დეკემბრის გამოცემა);



- გ) სათანადო შეფასებების გამოყენებით, სათბურის აირების პროტოკოლის კორპორაციული სტანდარტითა და სათბურის აირების პროტოკოლის კორპორაციული ღირებულებათა ჯაჭვის (მე-3 კატეგორიის გაფრქვევები) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების სტანდარტით განსაზღვრული მე-3 კატეგორიის 15 კლასის საფუძველზე გადაამოწმოს სათბურის აირების მე-3 კატეგორიის ჯამური გაფრქვევები. მეორე მხრივ, საწარმოს შეუძლია სათბურის აირების არაპირდაპირი გაფრქვევები გადაამოწმოს EN ISO 14064-1:2018 სტანდარტის 5.2.4 პუნქტით განსაზღვრული კლასების საფუძველზე (იმპორტირებული ენერჯიდიდან მიღებული სათბურის აირების არაპირდაპირი გაფრქვევების გამოკლებით);
- დ) გამოავლინოს და გაამჟღავნოს ინფორმაცია საკუთარი მნიშვნელოვანი მე-3 კატეგორიის კლასების შესახებ, მათი სათბურის აირების შეფასებული გაფრქვევების მნიშვნელოვნებისა და სათბურის აირების პროტოკოლის კორპორაციული ღირებულებათა ჯაჭვის (მე-3 კატეგორიის გაფრქვევები) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების სტანდარტით (2011 წლის გამოცემა, გვ. 61 და 65 – 68) ან EN ISO 14064-1:2018 სტანდარტის H.3.2 დანართით დადგენილი სხვა კრიტერიუმების საფუძველზე, როგორც ფინანსური ხარჯები, გავლენა, დაკავშირებული **გარდამავალი რისკები** და **შესაძლებლობები** ან **დაინტერესებულ მხარეთა** შეხედულებები;
- ე) გაფრქვევების შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით, გამოთვალოს ან შეაფასოს სათბურის აირების გაფრქვევები მნიშვნელოვან მე-3 კატეგორიის კლასებში;
- ვ) საქმიანობების მიმდინარე მონაცემების საფუძველზე ყოველწლიურად განაახლოს მე-3 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევები თითოეულ მნიშვნელოვან კლასში. საწარმომ უნდა განაახლოს მე-3 კატეგორიის სათბურის აირების სრული მარაგები მინიმუმ ყოველ 3 წელიწადში ან მნიშვნელოვანი მოვლენის მოხდენის ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში (მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება შესაძლებელია, მაგალითად, უკავშირდებოდეს საწარმოს საქმიანობების ან სტრუქტურის ცვლილებას, საწარმოს აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვ(ებ)ის საქმიანობების ან სტრუქტურის ცვლილებას, შეცდომების აღმოჩენის ან გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილებას);
- ზ) გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად მოხდა საწარმოს სათბურის აირების მე-3 კატეგორიის გაფრქვევების შეფასება სუბიექტის აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის კონკრეტული საქმიანობებიდან მიღებული მონაცემების გამოყენებით, ასევე მან უნდა გაამჟღავნოს იმ გაფრქვევების პროცენტული წილი, რომელიც გამოთვლილ იქნა მომწოდებლებისგან ან ღირებულებათა ჯაჭვის სხვა პარტნიორებისგან მიღებული პირველადი მონაცემების გამოყენებით;
- თ) სათბურის აირების მე-3 კატეგორიის გაფრქვევების თითოეული მნიშვნელოვანი კლასისთვის, უნდა გაამჟღავნოს გათვალისწინებული საანგარიშგებო საზღვრები, სათბურის აირების გაფრქვევების შეფასებისთვის გამოყენებული გამოთვლის მეთოდები, ასევე, გამოყენებულ იქნა თუ არა გამოთვლის ინსტრუმენტები და თუ კი - რომელი. მე-3 კატეგორიის გაფრქვევების კლასები უნდა შეესაბამებოდეს სათბურის აირების პროტოკოლს (GHGP – GHG Protocol) და მოიცავდეს შემდეგს:
- i. სათბურის აირების მე-3 კატეგორიის არაპირდაპირ გაფრქვევებს კონსოლიდირებული სააღრიცხვო ჯგუფიდან (მშობელი და მისი შვილობილი

საწარმოები),

- ii. სათბურის აირების მე-3 კატეგორიის არაპირდაპირ გაფრქვევებს, მეკავშირე საწარმოებიდან, ერთობლივი საწარმოებიდან და იმ არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოებიდან, რომელთან მიმართებითაც საწარმოს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს საოპერაციო საქმიანობები და ურთიერთობები (ე.ი. აქვს საოპერაციო კონტროლი),
  - iii. სათბურის აირების 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიის გაფრქვევებს, მეკავშირე საწარმოებიდან, ერთობლივი საწარმოებიდან, არაკონსოლიდირებული შვილობილი საწარმოებიდან (საინვესტიციო სუბიექტები) და ერთობლივი საქმიანობებიდან, რომლებზეც საწარმოს არ აქვს *საოპერაციო კონტროლი* და ეს სუბიექტები საწარმოს აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის ნაწილს წარმოადგენენ.
- ო) გაამჟღავნოს სათბურის აირების მე-3 კატეგორიის გაფრქვევების იმ კლასების სია, რომლებიც სათბურის აირების მარაგებში შედის, ასევე მან უნდა გაამჟღავნოს იმ კლასების სია, რომელიც აღნიშნულ მარაგებში არ შედის, რომელთათვისაც საწარმომ უნდა დაასაბუთოს აღნიშნული მარაგებიდან მათი გამორიცხვის მიზეზი;
  - კ) საწარმოს აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში მომხდარი ბიომასის წვის ან ბიოდეგრადაციის შედეგად მიღებული CO<sub>2</sub>-ის ბიოგენური გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს სათბურის აირების მე-3 კატეგორიის მთლიანი გაფრქვევებისგან განცალკევებით, მაგრამ სათბურის აირების მე-3 კატეგორიის გაფრქვევების გამოთვლისას უნდა გაითვალისწინოს სხვა ტიპის სათბურის აირების გაფრქვევები (როგორცაა CH<sub>4</sub> და N<sub>2</sub>O), ასევე CO<sub>2</sub>-ის ისეთი გაფრქვევები, რომელიც წვის ან ბიოდეგრადაციის პროცესების გარდა ხდება ბიომასის სასიცოცხლო ციკლში (როგორცაა, სათბურის აირების გაფრქვევები ბიომასის დამუშავებიდან ან ტრანსპორტირებიდან);
  - ლ) სათბურის აირების მე-3 კატეგორიის გაფრქვევების გამოთვლისას არ უნდა გაითვალისწინოს არცერთი მოცილება, ან შესყიდული, გაყიდული ან გადაცემული *ნახშირბადის კრედიტი* ან სათბურის აირების ნებადართული გაფრქვევები.

გმ 47. სათბურის აირების ჯამური *გაფრქვევების* შესახებ 52-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ:

- ა) სათბურის აირების ჯამური გაფრქვევების გამოსათვლელად შემდეგი ფორმულები უნდა გამოიყენოს:

სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები<sup>ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული</sup> (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)

= 1-ელი კატეგორიის მთლიანი გაფრქვევები + მე-2 კატეგორიის მთლიანი  
გაფრქვევები<sup>ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული</sup> + მე-3 კატეგორიის მთლიანი გაფრქვევები

სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები<sup>ბაზარზე დაფუძნებული</sup> (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)

= 1-ელი კატეგორიის მთლიანი გაფრქვევები + მე-2 კატეგორიის მთლიანი  
გაფრქვევები<sup>ბაზარზე დაფუძნებული</sup> + მე-3 კატეგორიის მთლიანი გაფრქვევები

- ბ) უნდა გაამყდავნოს სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები, სადაც ერთმანეთისგან მკაფიოდ იქნება გამოყოფილი ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული მეთოდითა და ბაზარზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით მიღებული გაფრქვევები, სათბურის აირების მე-2 კატეგორიის ძირითადი გაფრქვევების გამოთვლისას.

გმ 48. საწარმომ უნდა გაამყდავნოს ინფორმაცია სათბურის აირების ჯამური **გაფრქვევების** შესახებ, რომელიც დეზაგრეგირებული იქნება 1-ელი, მე-2 და მნიშვნელოვანი მე-3 კატეგორიის გაფრქვევების მიხედვით, ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

	რეტროსპექტული				საეტაპო მიზნები და სამიზნე წლები			
	საბაზისო წელი	შედარებითი	N	% N / N-1	2025	2030	(2050)	წლიური % სამიზნე მაჩვენებელი / საბაზისო წელი
<b>სათბურის აირების 1-ელი კატეგორიის გაფრქვევები</b>								
სათბურის აირების 1-ელი კატეგორიის მთლიანი გაფრქვევები (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)								
გაფრქვევებით ვაჭრობის სქემებით რეგულირებული სათბურის აირების 1-ელი კატეგორიის გაფრქვევების პროცენტული წილი (%)								
<b>სათბურის აირების მე-2 კატეგორიის გაფრქვევები</b>								
სათბურის აირების მე-2 კატეგორიის მთლიანი გაფრქვევები (ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული) (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)								
სათბურის აირების მე-2 კატეგორიის მთლიანი გაფრქვევები (ბაზარზე დაფუძნებული) (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)								
<b>სათბურის აირების მე-3 კატეგორიის მნიშვნელოვანი გაფრქვევები</b>								
სათბურის აირების მთლიანი არაპირდაპირი (მე-3 კატეგორიის) გაფრქვევები ჯამურად (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)								
1 შესყიდული საქონელი და მომსახურება								
არასავალდებულო ქვეკატეგორია: ღრუბლოვანი გამოთვლები და მონაცემთა ცენტრის მომსახურება								
2 ძირითადი საშუალებები და სხვა კაპიტალური აქტივები								

3 საწვავთან და ენერჯიასთან დაკავშირებული საქმიანობები (რომლებიც არ შედის 1-ელი და მე-2 კატეგორიის გაფრქვევებში)								
4 დისტრიბუცია და ტრანსპორტირება აღმავალ ჯაჭვში								
5 ოპერაციებისას/საოპერაციო საქმიანობისას წარმოქმნილი ნარჩენები								
6 საქმიანი მოგზაურობა (მივლინება)								
7 დასაქმებულთა მგზავრობა სამუშაო ადგილამდე								
8 საიჯარო აქტივები აღმავალ ჯაჭვში								
9 ტრანსპორტირება დაღმავალ ჯაჭვში								
10 გაყიდული პროდუქციის გადამუშავება								
11 გაყიდული პროდუქციის გამოყენება								
12 გაყიდული პროდუქციის მოშორება სასიცოცხლო ციკლის დასრულებისას								
13 საიჯარო აქტივები დაღმავალ ჯაჭვში								
14 ფრანშიზა								
15 ინვესტიციები								
<b>სულ სათბურის აირების გაფრქვევები</b>								
სულ სათბურის აირების გაფრქვევები (ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული) (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)								
სულ სათბურის აირების გაფრქვევები (ბაზარზე დაფუძნებული) (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)								

- გმ 49. პოტენციური **გარდამავალი რისკების** ნათლად გამოკვეთის მიზნით, საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს მისი სათბურის აირების ჯამური **გაფრქვევები**, რომელიც დეზაგრეგირებული იქნება ძირითადი ქვეყნების მიხედვით და, თუ ეს შესაძლებელია, საოპერაციო სეგმენტების მიხედვით (იგივე სეგმენტები გამოიყენება ფინანსური ანგარიშგებისთვის, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, ე.ი. ფასს 8 – „*საოპერაციო სეგმენტები*“ ან ადგილობრივ დონეზე საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები). საწარმოს შეუძლია არ ჩაშალოს სათბურის აირების მე-3 კატეგორიის გაფრქვევები ქვეყნების მიხედვით, თუ შესაბამისი მონაცემები ადვილად არ არის ხელმისაწვდომი.
- გმ 50. სათბურის აირების მე-3 კატეგორიის **გაფრქვევები** შეიძლება ასევე წარმოდგენილ იქნეს EN ISO 14064-1:2018 სტანდარტით განსაზღვრული არაპირდაპირი გაფრქვევების კლასების მიხედვით.
- გმ 51. თუ ეს არსებითია საწარმოს მე-3 კატეგორიის **გაფრქვევებისთვის**, მან შესყიდული ღრუბლოვანი გამოთვლების და მონაცემთა ცენტრის მომსახურებიდან მიღებული სათბურის აირების გაფრქვევები უნდა გაამჟღავნოს **მე-3 კატეგორიის კლასის** ქვეჯგუფის სახით, სახელწოდებით – „შესყიდული საქონელი და მომსახურება აღმავალ ჯაჭვში“.
- გმ 52. 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიის **გაფრქვევების** მიხედვით დეზაგრეგირებული სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები შეიძლება **მდგრადობის ანგარიშგებაში** წარმოდგენილ იქნეს გრაფიკულად (მაგ., სექტორული ან სვეტოვანი დიაგრამის სახით), რომელიც აჩვენებს როგორ არის სათბურის აირების გაფრქვევები განაწილებული **ღირებულებათა ჯაჭვში** (აღმავალი ჯაჭვი, საკუთარი ოპერაციები, ტრანსპორტირება, დაღმავალი ჯაჭვი).

**სათბურის აირების გაფრქვევების ინტენსივობა დაფუძნებული წმინდა ამონაგებზე გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები**

გმ 53. წმინდა ამონაგებზე დაფუძნებული სათბურის აირების ინტენსივობის შესახებ 53-ე პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ:

- ა) სათბურის აირების ინტენსივობის მაჩვენებელი უნდა გამოთვალოს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)

---

წმინდა ამონაგები (ფულადი ერთეული)

- ბ) სათბურის აირების ჯამური **გაფრქვევები** უნდა გამოსახოს CO<sub>2</sub>ეკვ. მეტრულ ტონებში, ხოლო წმინდა ამონაგები - ფულად ერთეულებში (მაგ., ევრო). ასევე უნდა წარმოადგინოს ბაზარზე დაფუძნებული და ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგები;
- გ) სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები უნდა წარმოადგინოს მრიცხველში, ხოლო საერთო წმინდა ამონაგები - მნიშვნელში;
- დ) სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები უნდა გამოთვალოს 44(დ) და 52-ე პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად; და
- ე) წმინდა ამონაგები უნდა გამოთვალოს ბუღალტრული აღრიცხვის იმ სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ფინანსური ანგარიშგებისთვის არის გამოყენებული, ე.ი. ფასს 15 ან ადგილობრივ დონეზე საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მოთხოვნები.

გმ 54. რაოდენობრივი ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

სათბურის აირების ინტენსივობა წმინდა ამონაგებზე	შედარებითი	N	% N / N-1
სათბურის აირების ჯამური გაფრქვევების ფარდობა (ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული) წმინდა ამონაგებთან (ტCO <sub>2</sub> ეკვ./ფულადი ერთეული)			
სათბურის აირების ჯამური გაფრქვევების ფარდობა (ბაზარზე დაფუძნებული) წმინდა ამონაგებთან (ტCO <sub>2</sub> ეკვ./ფულადი ერთეული)			

*წმინდა ამონაგებზე დაფუძნებული სათბურის აირების ინტენსივობის კავშირი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციასთან*

გმ 55. სათბურის აირების ინტენსივობის გამოსათვლელად გამოყენებული წმინდა ამონაგების შეჯერება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლთან ან განმარტებით შენიშვნასთან (როგორც ეს დადგენილია 55-ე პუნქტით) შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ან:

- ა) ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე ან განმარტებით შენიშვნაზე ჯვარედინი მითითების სახით; ან
- ბ) თუ არ ხერხდება წმინდა ამონაგების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლთან ან განმარტებით შენიშვნასთან ჯვარედინი მითითებით პირდაპირ დაკავშირება, მაშინ რაოდენობრივი შეჯერების სახით ქვემოთ მოცემული ცხრილური ფორმის გამოყენებით:

სათბურის აირების ინტენსივობის გამოსათვლელად გამოყენებული წმინდა ამონაგები	
წმინდა ამონაგები (სხვა)	
სულ წმინდა ამონაგები (ფინანსურ ანგარიშგებაში)	

***E1-7 გამჟღავნების მოთხოვნა - ნახშირბადის კრედიტებით დაფინანსებული სათბურის აირების მოცილებისა და სათბურის აირების გაფრქვევების შერბილების პროექტები***

***სათბურის აირების მოცილება და დაგროვება საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში***

გმ 56. საკუთარი სათბურის აირების გაფრქვევების მარაგების გარდა, საწარმომ უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენად ხვეწს/აუმჯობესებს ის ბუნებრივ შთანთქმელებს ან როგორ და რამდენად იყენებს ტექნიკურ გადაწყვეტებს ატმოსფეროდან სათბურის აირების მოსაცილებლად, საკუთარი ოპერაციების და აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის ფარგლებში. რამდენადაც სათბურის აირების მოცილების აღრიცხვისთვის საყოველთაოდ მიღებული ცნებები და მეთოდები არ არსებობს, წინამდებარე სტანდარტი მიზნად ისახავს, გაზარდოს გამჭვირვალობა ატმოსფეროდან სათბურის აირების მოცილების მიმართულებით საწარმოს მიერ გაღებული ძალისხმევის შესახებ (56 (ა) და 58-ე პუნქტები). საწარმომ, 56(ბ) და 59-ე პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, განცალკევებით უნდა გამჟღავნოს ინფორმაცია **ღირებულებათა ჯაჭვის** მიღმა სათბურის აირების ისეთი სახით მოცილების შესახებ, რომელსაც საწარმო **ნახშირბადის კრედიტების** შესყიდვით ახორციელებს.

გმ 57. საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში სათბურის აირების მოცილებისა და დაგროვების** შესახებ, 56(ა) და 58-ე პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ, მოცილებისა და დაგროვების თითოეული საქმიანობისთვის, უნდა აღწეროს:

- ა) რომელ სათბურის აირებს შეეხო იგი;
- ბ) მოცილება და დაგროვება ბიოგენურია ანუ **მიწათსარგებლობის ცვლილებიდან არის** (მაგ., გატყვანება, ხელახალი გატყვანება, ტყის აღდგენა, ურბანულ გარემოში ხეების დარგვა, აგრომეტყვეობა, **ნიადაგის** ნახშირბადით გამდიდრება, ა.შ. ), ტექნოლოგიურია (მაგ., პირდაპირ ჰაერიდან დაჭერა) თუ ჰიბრიდული (მაგ.,



ბიონერგია CO<sub>2</sub>-ის დაჭერითა და დაგროვებით). საწარმომ ასევე უნდა აღწეროს მოცილების პროცესის ტექნოლოგიური დეტალები, დაგროვების სახე და, თუ ეს შესაფერისია, მოცილებული სათბურის აირების ტრანსპორტირების პროცესი;

- ბ) საჭიროების შემთხვევაში, მოკლე ახსნა-განმარტება იმის შესახებ, კლასიფიცირდება თუ არა ეს საქმიანობა ბუნების დამზოგავ გადაწყვეტილებად;
- დ) როგორ ხდება არამუდმივობის რისკის მართვა, მათ შორის, საჭიროებისამებრ, გაჟონვისა და უკუქცევის მოვლენების დადგენა და მონიტორინგი.

### *გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები*

გმ 58. საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში სათბურის აირების მოცილებისა და დაგროვების** შესახებ, 56(ა) და 58-ე პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ უნდა:

- ა) გაითვალისწინოს, რამდენადაც ეს შესაფერისია, სათბურის აირების პროტოკოლის კორპორაციული სტანდარტის 2004 წლის გამოცემა (GHG Protocol Corporate Standard), პროდუქციის სტანდარტის 2011 წლის გამოცემა (Product Standard), სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელო მითითებების 2014 წლის გამოცემა (Agriculture Guidance), მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობის ცვლილების და მეტყვევობის შესახებ სახელმძღვანელო მითითებები სათბურის აირების პროექტის აღრიცხვისთვის (Land Use, Land-Use Change, and Forestry Guidance for GHG project accounting) (2006 წლის გამოცემა);
- ბ) გამოიყენოს სათბურის აირების მოცილების აღრიცხვასთან დაკავშირებით კონსენსუსის საფუძველზე შეთანხმებული მეთოდები, მათი ხელმისაწვდომობისთანავე, განსაკუთრებით, ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩო CO<sub>2</sub>-ის მოცილების დადასტურების (სერტიფიკატების სახით) შესახებ;
- გ) თუ ეს შესაფერისია, ახსნას, თუ რა როლს თამაშობს სათბურის აირების მოცილება საწარმოს კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკაში;
- დ) წარმოადგინოს სათბურის აირების მოცილება იმ ოპერაციებიდან, რომელსაც იგი ფლობს, აკონტროლებს ან რომელშიც იგი მონაწილეობს და რომელიც მას ნახშირბადის კრედიტების სახით არ აქვს მიყიდული სხვა მხარისთვის;
- ე) თუ ეს შესაფერისია, აჩვენოს საკუთარ ოპერაციებში ან ღირებულებათა ჯაჭვში განხორციელებული სათბურის აირების მოცილების ის საქმიანობები, რომელიც გარდაქმნა ნახშირბადის კრედიტებად და სხვა მხარეებს მიჰყიდა ბაზარზე ნებაყოფლობითი ვაჭრობის საფუძველზე;

- 3) აღრიცხოს მოცილების საქმიანობასთან, მათ შორის ტრანსპორტირებასა და დაგროვებასთან, დაკავშირებული სათბურის აირების გაფრქვევები (1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიის გაფრქვევები), E1-6 გამჟღავნების მოთხოვნის შესაბამისად. მოცილების საქმიანობის, მათ შორის ტრანსპორტირებისა და დაგროვების საქმიანობის, ეფექტიანობის შესახებ გამჭვირვალობის გასაზრდელად, საწარმოს შეუძლია ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სათბურის აირების გაფრქვევებთან (მაგ., პირდაპირ ჰაერიდან დაჭერის ტექნოლოგიების მიერ ელექტროენერჯის მოხმარებიდან წარმოქმნილი სათბურის აირების გაფრქვევები) ერთად ასევე გაამჟღავნოს მოცილებული სათბურის აირების გაფრქვევების ოდენობა, თუმცა ისინი წარმოდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით;
- ჟ) უკუქვევის შემთხვევაში, შესაბამისი სათბურის აირების გაფრქვევები უნდა აღრიცხოს როგორც საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული მოცილების გადაფარვა;
- თ) ნახშირბადის გარდა სხვა აირებისთვის CO<sub>2</sub>ეკვ. გაფრქვევების გამოთვლისას გამოიყენოს IPCC-ის მიერ გამოქვეყნებული, 100 წლიან დროის პერიოდზე დაფუძნებული, **გლობალური დათბობის პოტენციალის (გდპ)** უახლესი მაჩვენებლები. ასევე, უნდა აღწეროს სათბურის აირების მოცილების ოდენობის გამოთვლისას გაკეთებული დაშვებები და გამოყენებული მეთოდოლოგიები და ჩარჩო დოკუმენტები;
- ი) გაითვალისწინოს **ბუნების დამზოგავი გადაწყვეტილებები**.

გმ 59. საწარმომ უნდა მოახდინოს საკუთარი ოპერაციებიდან და აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვიდან სათბურის აირების მოცილების შესახებ ინფორმაციის დეზაგრეგირება და ეს ინფორმაციები ცალ-ცალკე უნდა გაამჟღავნოს. ინფორმაცია საწარმოს აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში** განხორციელებული სათბურის აირების მოცილების საქმიანობების შესახებ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ საქმიანობების შესახებ, რომელსაც საწარმო აქტიურად უჭერს მხარს, მაგალითად, **მომწოდებელთან** თანამშრომლობის პროექტის სახით. საწარმოს არ მოეთხოვება წარმოადგინოს ინფორმაცია სათბურის აირების ისეთი მოცილების შესახებ, რომელიც შეიძლება მის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში განხორციელდეს და რომლის შესახებაც მან არ იცის.

გმ 60. სათბურის აირების მოცილების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

მოცილება	შედარებითი	N	% N / N-1
სათბურის აირების მოცილების საქმიანობა 1 (მაგ., ტყის აღდგენა)	-		
სათბურის აირების მოცილების საქმიანობა 2 (მაგ., პირდაპირ ჰაერიდან დაჭერა)	-		
...	-		
<b>სულ სათბურის აირების მოცილება საკუთარი ოპერაციებიდან (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)</b>			
სათბურის აირების მოცილების საქმიანობა 1 (მაგ., ტყის აღდგენა)	-		
სათბურის აირების მოცილების საქმიანობა 2 (მაგ., პირდაპირ ჰაერიდან დაჭერა)	-		
...	-		
<b>სულ სათბურის აირების მოცილება აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)</b>			
<b>უპუნქტო (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)</b>			

**ნახშირბადის კრედიტებით დაფინანსებული შერბილების პროექტები**

გმ 61. საწარმოს შეუძლია სასარგებლო წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების შერბილების საქმეში მისი **ღირებულებათა ჯაჭვის** მიღმა სათბურის აირების **გაფრქვევების შემცირების** პროექტების დაფინანსების გზით, რაც მოიცავს ისეთი **ნახშირბადის კრედიტების** შესყიდვას, რომლებიც მაღალი ხარისხის სტანდარტებს აკმაყოფილებენ. წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, საწარმომ ინფორმაცია იმის შესახებ, იყენებს თუ არა ის **ნახშირბადის კრედიტებს** სათბურის აირების **გაფრქვევების** (56 (ბ) და 59-ე პუნქტები) და სათბურის აირების **გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლებისგან** (E1-4 გამყლავნების მოთხოვნა) დამოუკიდებლად უნდა გამჟღავნოს. ეს სტანდარტი ასევე მოითხოვს, რომ საწარმომ აჩვენოს ნახშირბადის კრედიტების გამოყენების მასშტაბი და ხარისხის რომელ კრიტერიუმებს იყენებს იგი აღნიშნული ნახშირბადის კრედიტებისთვის.

გმ 62. **ნახშირბადის კრედიტების** შესახებ 56(ბ) და 59-ე პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა მოახდინოს ინფორმაციის შემდეგი სახით, საჭიროებისამებრ, დეზაგრეგირება:

- ა) შემცირების პროექტებისა და მოცილების პროექტების წილი (მოცულობის პროცენტული წილი);
- ბ) მოცილების პროექტებიდან გაცემული ნახშირბადის კრედიტებისთვის, ახსნა-განმარტება იმისა, ისინი ბიოგენური შთანმთქმელებისგან არის თუ ტექნოლოგიური შთანმთქმელებისგან;
- გ) წილი (მოცულობის პროცენტული წილი) თითოეული აღიარებული ხარისხის სტანდარტისთვის;
- დ) წილი (მოცულობის პროცენტული წილი), რომელიც გაცემულია ევროკავშირის პროექტების შედეგად; და
- ე) წილი (მოცულობის პროცენტული წილი), რომელიც კვალიფიცირდება, როგორც შესაბამისი კორექტირება პარიზის შეთანხმების მე-6 მუხლის შესაბამისად.

*გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები*

გმ 63. *ნახშირბადის კრედიტების* შესახებ 56(ბ) და 59-ე პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ:

- ა) უნდა გაითვალისწინოს **ხარისხის აღიარებული სტანდარტები**;
- ბ) თუ ეს შესაფერისია, უნდა განმარტოს, რა როლს თამაშობს ნახშირბადის კრედიტები საწარმოს **კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის** მიმართულებით;
- გ) არ უნდა ასახოს მის **ღირებულებათა ჯაჭვში** განხორციელებული სათბურის აირების **გაფრქვევების შემცირების** პროექტების შედეგად გაცემული ნახშირბადის კრედიტები, ვინაიდან, E1-6 **გამჟღავნების მოთხოვნის** შესაბამისად, სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების შესაბამისი მაჩვენებლები უკვე გამჟღავნებული უნდა იყოს მათი განხორციელების მომენტში (ე.ი. გამოთვლის დუბლირება თავიდან უნდა იქნეს აცილებული);
- დ) არ უნდა ასახოს მის ღირებულებათა ჯაჭვში განხორციელებული სათბურის აირების გაფრქვევების მოცილების პროექტების შედეგად გაცემული ნახშირბადის კრედიტები, ვინაიდან, E1-7 **გამჟღავნების მოთხოვნის** შესაბამისად, სათბურის აირების მოცილების შესაბამისი მაჩვენებლები უკვე აღრიცხული შეიძლება იყოს მათი განხორციელების მომენტში (ე.ი. გამოთვლის დუბლირება თავიდან უნდა იქნეს აცილებული);
- ე) ნახშირბადის კრედიტები არ უნდა ასახოს სათბურის აირების გაფრქვევების შესახებ E1-6 **გამჟღავნების მოთხოვნის** შესაბამისად გამჟღავნებული სათბურის აირების **გაფრქვევების** გადაფარვის სახით;

- ვ) ნახშირბადის კრედიტები არ უნდა ასახოს, როგორც E1-4 გამჟღავნების მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული სათბურის აირების გაფრქვევის შემცირების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის საშუალება;
- ფ) უნდა გამოთვალოს მომავალში გასაუქმებელი ნახშირბადის კრედიტების ოდენობა, რაც წარმოადგენს არსებული სახელშეკრულებო შეთანხმებების არსებობის მანძილზე CO<sub>2</sub>ეკვ.-ის მეტრულ ტონებში გამოსახული ნახშირბადის კრედიტების ჯამს.

გმ 64. ინფორმაცია იმ ნახშირბადის კრედიტების შესახებ, რომელიც გაუქმდა მოცემულ საანგარიშგებო წელს ან რომლის გაუქმებაც მომავალშია დაგეგმილი, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ცხრილების სახით:

მოცემულ საანგარიშგებო წელს გაუქმებული ნახშირბადის კრედიტები	შედარებითი	N
სულ (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)		
წილი მოცილების პროექტებიდან (%)		
წილი შემცირების პროექტებიდან (%)		
ხარისხის აღიარებული სტანდარტი 1 (%)		
ხარისხის აღიარებული სტანდარტი 2 (%)		
ხარისხის აღიარებული სტანდარტი 3 (%)		
...		
წილი ევროკავშირის ფარგლებში განხორციელებული პროექტებიდან (%)		
ისეთი ნახშირბადის კრედიტების წილი, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც შესაბამისი კორექტირებები (%)		

ნახშირბადის კრედიტები, რომელთა გაუქმება დაგეგმილია მომავალში	ოდენობა [პერიოდი]- მდე
სულ (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)	

**E1-8 გამჟღავნების მოთხოვნა - ნახშირბადის შიდა ფასწარმოქმნა**

გმ 65. 62-ე და 63-ე პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, თუ ეს შესაფერისია, საწარმომ მოკლედ უნდა ახსნას ნახშირბადის შიდა ფასწარმოქმნის სქემებში გამოყენებული ნახშირბადის ფასები შეესაბამება თუ არა და როგორ, ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულ ფასებს. ეს უნდა გაკეთდეს ნახშირბადის იმ შიდა ფასების მიმართ, რომელიც გამოიყენება:

- ა) საწარმოს აქტივების (არამატერიალური აქტივების, ძირითადი საშუალებების) სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების შეფასებისას;
- ბ) აქტივების გაუფასურებისას;
- გ) საწარმოთა შექმნისას მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას.

გმ 66. ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

ნახშირბადის შიდა ფასების ტიპები	რისკის ქვეშ მყოფი მოცულობა (ტCO <sub>2</sub> ეკვ.)	გამოყენებული ფასები (€/ტCO <sub>2</sub> ეკვ.)	პერიმეტრის აღწერა
კაპიტალური დანახარჯების (CapEx) ჩრდილოვანი ფასი			
კვლევასა და განვითარებაში განხორციელებული ინვესტიციის ჩრდილოვანი ფასი			
ნახშირბადის შიდა საფასური ან ფონდი			
ნახშირბადის ფასები გაუფასურების ტესტირებისთვის			
ა.შ.			

***E1-9 გამჟღავნების მოთხოვნა - არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოტენციური შესაძლებლობები***

---

***არსებითი ფიზიკური და გარდამავალი რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები***

გმ 67. კლიმატთან დაკავშირებულმა არსებითმა **ფიზიკურმა** და **გარდამავალმა რისკებმა** შეიძლება გავლენა მოახდინოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე (მაგ., საკუთრებაში არსებულ აქტივებზე, ფინანსურად კონტროლირებად საიჯარო აქტივებზე, ასევე ვალდებულებებზე), საქმიანობის შედეგებსა (წმინდა ამონაგების და დანახარჯების პოტენციური სამომავლო ზრდა/შემცირება ბიზნესში შეფერხებების გამო, მიწოდების გაზრდილი ფასები, რაც იწვევს მარჟის პოტენციურ შემცირებას) და ფულად ნაკადებზე. კლიმატთან დაკავშირებული ზოგიერთი ფიზიკური რისკის მატერიალიზების დაბალი ალბათობა, მოსალოდნელი გავლენის მაღალი დონე და დროში სიშორე, ასევე მდგრად ეკონომიკაზე გადასვლით გამოწვეული განუსაზღვრელობა ნიშნავს, რომ იქნება ამასთან დაკავშირებული არსებითი **მოსალოდნელი ფინანსური შედეგები**, რომელიც ბუნალტრული აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნებს სცდება.

გმ 68. ამჟამად არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგია იმის შესაფასებლად ან გასაზომად, თუ რა გავლენა აქვს არსებით **ფიზიკურ** და **გარდამავალ რისკებს** საწარმოს სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. აქედან გამომდინარე, ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების საკითხი (როგორც ეს მოთხოვნილია 64-ე, 66-ე და 67-ე პუნქტებით) დამოკიდებული იქნება საწარმოში არსებულ შიდა მეთოდოლოგიაზე და საწყისი მონაცემების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი განსჯის გამოყენებაზე და იმ დაშვებებზე, რომლებიც საჭიროა საწარმოს **მოსალოდნელი ფინანსური შედეგების** რაოდენობრივად განსაზღვრისთვის.

***გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები - არსებითი ფიზიკური რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები***

გმ 69. 64(ა) და 66-ე პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა ახსნას:

- ა) შეაფასა თუ არა მან **მოსალოდნელი ფინანსური შედეგები** არსებითი ფიზიკური რისკის მქონე აქტივებისა და ბიზნესსაქმიანობებისთვის და როგორ გააკეთა ეს, მათ შორის ამ შეფასების გამოყენების მასშტაბი, დროის პერიოდები, გამოთვლის მეთოდოლოგია, კრიტიკული დაშვებები და პარამეტრები და შეზღუდვები; და
- ბ) არსებითი **ფიზიკური რისკის** მქონედ მიჩნეული აქტივებისა და ბიზნესსაქმიანობების შეფასება ეყრდნობა თუ არა ან წარმოადგენს თუ არა (და როგორ) იმ პროცესის ნაწილს, რომლის მიზანია არსებითი ფიზიკური რისკისა (როგორც ეს მოითხოვება 20(ბ) და გმ 11 პუნქტების შესაბამისად) და კლიმატის **სცენარების** (როგორც ეს მოითხოვება მე-19 და გმ 13 - გმ 14 პუნქტების შესაბამისად) განსაზღვრა. კერძოდ, მან უნდა განმარტოს, როგორ განსაზღვრა მან საშუალო და

გრძელვადიანი დროის პერიოდები და როგორ უკავშირდება ეს განსაზღვრება საწარმოს აქტივების მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადას, სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდებს და კაპიტალის განაწილების გეგმებს.

გმ 70. არსებითი ფიზიკური რისკის მქონე აქტივების შესახებ 66(ა) პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გასამყლავნებელი ინფორმაციის მომზადებისას:

- ა) საწარმომ უნდა გამოთვალოს არსებითი ფიზიკური რისკის მქონე აქტივების ფულადი ოდენობა და ანგარიშგების თარიღისთვის მთლიან აქტივებთან მათი თანაფარდობა (პროცენტული თანაფარდობა) (ე.ი. აღნიშნული თანაფარდობა გამოითვლება არსებითი ფიზიკური რისკის მქონე აქტივების შეფასებული საბალანსო ღირებულების გაყოფით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანუ ბალანსში წარმოდგენილ ჯამურ საბალანსო ღირებულებაზე). არსებითი ფიზიკური რისკის მქონე აქტივების შეფასებული ოდენობა უნდა გამოითვალოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების მიხედვით. ფიზიკური რისკის მქონე აქტივების ფულადი ოდენობები და თანაფარდობა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ერთი თანხის ან დიაპაზონის სახით.
- ბ) არსებითი ფიზიკური რისკის მქონე აქტივების განსაზღვრისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ტიპის აქტივი, მათ შორის ფინანსური იჯარა/აქტივის გამოყენების უფლება.
- გ) ინფორმაციის კონტექსტუალიზების მიზნით, საწარმომ:
  - i. უნდა გაამყლავნოს ინფორმაცია არსებითი ფიზიკური რისკის მქონე მნიშვნელოვანი აქტივების ადგილმდებარეობის შესახებ. ევროკავშირის ტერიტორიაზე მდებარე მნიშვნელოვანი აქტივების შესახებ ინფორმაცია<sup>30</sup> აგრეგირებული უნდა იყოს NUTS-ის ნომენკლატურაში 3 დონეზე განაწილებული ტერიტორიული კოდების მიხედვით (NUTS - ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისთვის). ევროკავშირის ტერიტორიის ფარგლებს მიღმა მდებარე მნიშვნელოვანი აქტივების შესახებ ინფორმაცია NUTS-ის კოდების მიხედვით ჩაშლილი იქნება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.
  - ii. რისკის მქონე აქტივების ფულადი ოდენობების დეზაგრეგირება უნდა მოახდინოს მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკების მიხედვით<sup>31</sup>.

<sup>30</sup> გამყლავნების ეს მოთხოვნა შეესაბამება კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2022/2453 მოთხოვნებს - ნიმუში 5: კავშირები, რომლებიც ფიზიკურ რისკს ექვემდებარება.

<sup>31</sup> გამყლავნების ეს მოთხოვნა შეესაბამება კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2022/2453 მოთხოვნებს - ნიმუში 5: კავშირები, რომლებიც ფიზიკურ რისკს ექვემდებარება.



- დ) საწარმომ 66(ა) პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული არსებითი ფიზიკური რისკის მქონე იმ აქტივების წილი, რომელთა მიმართაც **კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ქმედებები** განხორციელდა, E1-3 **გამჟღავნების მოთხოვნის** შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა გამოთვალოს. ამ მოთხოვნის მიზანი წმინდა რისკების მიახლოებითი მნიშვნელობების დადგენაა.

გმ 71. 64(ა) და 66(დ) პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმოს შეუძლია შეაფასოს და გაამჟღავნოს ინფორმაცია ფიზიკური რისკის მქონე ბიზნესსაქმიანობებიდან მიღებული წმინდა ამონაგების წილის შესახებ. ეს ინფორმაცია:

- ა) უნდა ეფუძნებოდეს ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ე.ი. ფასს 15-ის ან ადგილობრივ დონეზე საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების) მოთხოვნების შესაბამისად წარდგენილ წმინდა ამონაგებს.
- ბ) შეიძლება მოიცავდეს საწარმოს ბიზნესსაქმიანობებს ჩაშლილი სახით, მასთან დაკავშირებული ჯამური წმინდა ამონაგების პროცენტული წილის, დაკავშირებული რისკ-ფაქტორების (საშიშროების, კავშირებისა და მგრძობელობის) და, თუ შესაძლებელია, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან დროის პერიოდებში მარჯის შემცირების თვალსაზრისით **მოსალოდნელი ფინანსური შედეგების** სერიოზულობის შესაბამის დეტალებთან ერთად. საწარმოს ასევე შეუძლია ბიზნესსაქმიანობების ხასიათის შესახებ ინფორმაციის დეზაგრეგირება მოახდინოს საოპერაციო სეგმენტების მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში სეგმენტების შესახებ ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისას გაამჟღავნა ინფორმაცია მარჯების წვლილის შესახებ საოპერაციო სეგმენტების მიხედვით.

*გამოთვლებთან დაკავშირებული მითითებები - არსებითი გარდამავალი რისკებიდან მომდინარე მოსალოდნელი ფინანსური შედეგები*

გმ 72. 64(ბ) და 67(ა) პუნქტების მოთხოვნებით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა ახსნას:

- ა) შეაფასა თუ არა მან საწარმოს სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე პოტენციური ეფექტები არსებითი გარდამავალი რისკის მქონე აქტივებისა და ბიზნესსაქმიანობებისთვის და როგორ გააკეთა ეს, მათ შორის ამ შეფასების გამოყენების მასშტაბი, დროის პერიოდები, გამოთვლის მეთოდოლოგია, კრიტიკული დაშვებები და პარამეტრები და შეზღუდვები; და
- ბ) არსებითი **გარდამავალი რისკის** მქონედ მიჩნეული აქტივებისა და ბიზნესსაქმიანობების შეფასება ეყრდნობა თუ არა ან წარმოადგენს თუ არა (და

როგორ) იმ პროცესის ნაწილს, რომლის მიზანია არსებითი გარდამავალი რისკისა (როგორც ეს მოითხოვება 20(გ) და გმ 11 პუნქტების შესაბამისად) და კლიმატის **სცენარების** (როგორც ეს მოითხოვება გმ 12 - გმ 13 პუნქტების შესაბამისად) განსაზღვრა. კერძოდ, მან უნდა განმარტოს, როგორ განსაზღვრა მან საშუალო და გრძელვადიანი დროის პერიოდები და როგორ უკავშირდება ეს განსაზღვრება საწარმოს აქტივების მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადას, სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდებს და კაპიტალის განაწილების გეგმებს.

გმ 73. არსებითი გარდამავალი რისკის მქონე აქტივების შესახებ 67(ა) და 67(ბ) პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად ინფორმაციის გამჟღავნებისას:

- ა) საწარმომ უნდა წარმოადგინოს სულ მცირე ნაადრევად გაუფასურების პოტენციალის მქონე აქტივების შეფასებული ოდენობა (ფულადი ოდენობა და თანაფარდობა/პროცენტული თანაფარდობა) მოცემული საანგარიშგებო წლიდან 2030 წლამდე და 2030 წლიდან 2050 წლამდე. ნაადრევად გაუფასურებულ აქტივებში მოიაზრება საწარმოს აქტიური და გეგმით მტკიცედ გათვალისწინებული ძირითადი აქტივები, რომლებიც მათი საოპერაციო ვადის განმავლობაში **სათბურის აირების** მნიშვნელოვანი **პოტენციური/სამომავლო გაფრქვევებით** ხასიათდებიან. გეგმით მტკიცედ გათვალისწინებული ძირითადი აქტივები არის აქტივები, რომელსაც მოსალოდნელია, რომ საწარმო მომდევნო 5 წლის განმავლობაში ეფექტიანად გამოიყენებს. საწარმოს შეუძლია მათი ოდენობა გამოსახოს აქტივების ღირებულების დიაპაზონის სახით, რომელიც კლიმატისა და **პოლიტიკის** სხვადასხვა **სცენარებს** დაეფუძნება, მათ შორის გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის პირობასთან შესაბამისობაში მყოფ სცენარს.
- ბ) საწარმომ საკუთარი უძრავი ქონების, მათ შორის აქტივის გამოყენების უფლების, საბალანსო ღირებულების შესახებ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ჩაშლილი სახით, ენერგოეფექტურობის კლასების მიხედვით. საწარმომ ენერგოეფექტურობის შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ან კვტ.სთ/მ<sup>2</sup>-ში გამოსახული ენერგიის მოხმარების დიაპაზონის სახით ან EPC-ის<sup>32</sup> (ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიკატი - Energy Performance Certificate)<sup>33</sup> კლასების სახით. თუ საწარმო, ყველა შესაძლო ზომის გამოყენებით, ვერ მოიპოვებს ამ ინფორმაციას, მან ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს უძრავი ქონების აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულების შესახებ, რომლისთვისაც ენერგიის მოხმარების მაჩვენებლები შიდა შეფასებებს დაეფუძნება.
- გ) საწარმომ არსებითი გარდამავალი რისკის მქონე იმ აქტივების (მათ შორის ფინანსური იჯარის/აქტივის გამოყენების უფლების) ჯამური ოდენობის თანაფარდობა (პროცენტული თანაფარდობა), რომელთა მიმართაც **კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებები** განხორციელდა, E1-3 **გამჟღავნების მოთხოვნის** შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა გამოთვალოს. აქტივების ჯამური

<sup>32</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 19 მაისის 2010/31/EU დირექტივა შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ Directive 2010/31/EU of the European Parliament and of the Council of on the energy performance of buildings (OJ L 153, 18.6.2010, p. 13).

<sup>33</sup> გამჟღავნების ეს მოთხოვნა შეესაბამება კომისიის განმარტებული რეგულაციის (EU) 2022/2453 მოთხოვნებს - ნიმუში 2: უძრავი ქონება - უზრუნველყოფის ენერგოეფექტურობა

ოდენობა არის საანგარიშგებო თარიღისთვის ბალანსში წარმოდგენილი საბალანსო ღირებულება.

გმ 74. არსებითი **გარდამავალი რისკებიდან** მომდინარე პოტენციური ვალდებულებების შესახებ 67(დ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას:

- ა) საწარმოებს, რომლებიც გაფრქვევებით ვაჭრობის სქემით რეგულირებული **ტექნიკური მოწყობილობების** ოპერირებას ახორციელებენ, შეუძლიათ ამ სქემებიდან წარმოშობილი სხვადასხვა სახის მომავალი პოტენციური ვალდებულებები წარმოადგინონ;
- ბ) EU ETS-ით რეგულირებულ საწარმოებს შეუძლიათ ინფორმაცია გაამჟღავნონ ისეთი მომავალი პოტენციური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც 2030 წლამდე პერიოდში საწარმოს განაწილების გეგმებთან არიან დაკავშირებული. პოტენციური ვალდებულება შეიძლება შეფასდეს:
  - i. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში საწარმოს მიერ ფლობილი ნებადართული გაფრქვევების რაოდენობის საფუძველზე;
  - ii. იმ ნებადართული გაფრქვევების საფუძველზე, რომელსაც საწარმო წლიურად (ე.ი. 2030 წლამდე) შეისყიდის ბაზარზე;
  - iii. სხვადასხვა გარდამავალი **სცენარების** მიხედვით შეფასებულ მომავალ **გაფრქვევებსა** და 2030 წლამდე პერიოდისთვის ცნობილი ნებადართული გაფრქვევების თავისუფალ განაწილებას შორის სხვაობის საფუძველზე, და
  - iv. CO<sub>2</sub>-ის თითოეულ ისეთ ტონაზე შეფასებული წლიური ხარჯის საფუძველზე, რომლისთვისაც საწარმომ ნებადართული გაფრქვევები უნდა შეისყიდოს;
- ბ) საკუთარი მომავალი პოტენციური ვალდებულებების შეფასებისას, საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს და ინფორმაცია გაამჟღავნოს გაფრქვევებით ვაჭრობის სქემებით რეგულირებული 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების ნებადართული გაფრქვევების რაოდენობისა და საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში დაგროვილი (წინა პერიოდების ნებადართული გაფრქვევებიდან) ნებადართული გაფრქვევების კუმულაციური რაოდენობის შესახებ;
- დ) საწარმოებს, რომლებიც ინფორმაციას ამჟღავნებენ **ნახშირბადის** იმ **კრედიტების** მოცულობის შესახებ, რომელთა გაუქმება უახლოეს მომავალშია დაგეგმილი (E1-7 **გამჟღავნების მოთხოვნა**), შეუძლიათ გაამჟღავნონ ინფორმაცია ისეთი მომავალი პოტენციური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც არსებულ სახელშეკრულებო შეთანხმებებზე დაფუძნებულ კრედიტებთან არიან დაკავშირებული.

ე) საწარმოს ასევე შეუძლია წარმოადგინოს მონეტარიზებული მთლიანი 1-ელი და მე-2 კატეგორიის გაფრქვევები და სათბურის აირების მონეტარიზებული ჯამური გაფრქვევები (ფულად ერთეულებში), რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:

i. საანგარიშგებო წლის განმავლობაში მონეტარიზებული 1-ელი და მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევები, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$(ა) \quad (\text{მთლიანი 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევები (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)} + \text{მთლიანი მე-2 კატეგორიის სათბურის აირების გაფრქვევები (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)}) \times \text{სათბურის აირების გაფრქვევების ღირებულების კოეფიციენტი} \left( \frac{\text{ლ}}{\text{ტCO<sub>2</sub>ეკვ.}} \right)$$

ii. საანგარიშგებო წლის განმავლობაში სათბურის აირების მონეტარიზებული ჯამური გაფრქვევები, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$(ბ) \quad \text{სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები (ტCO<sub>2</sub>ეკვ.)} \times \text{სათბურის აირების გაფრქვევების ღირებულების კოეფიციენტი} \left( \frac{\text{ლ}}{\text{ტCO<sub>2</sub>ეკვ.}} \right)$$

iii. სათბურის აირების გაფრქვევები შედარებით დაბალი, საშუალო და მაღალი ღირებულების კოეფიციენტების<sup>34</sup> გამოყენებით (ნახშირბადის საბაზრო ფასი და ნახშირბადის სოციალური ღირებულების განსხვავებული შეფასებები); ასევე საწარმომ უნდა წარმოადგინოს მათი შერჩევის მიზეზები.

გმ 75. იმის შესაფასებლად, თუ როგორ შეიძლება **გარდამავალმა რისკებმა** გავლენა მოახდინოს საწარმოს მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე, საწარმოს შეუძლია სხვა მიდგომები და მეთოდოლოგიები გამოიყენოს. ნებისმიერ შემთხვევაში, **მოსალოდნელი ფინანსური შედეგების** შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საწარმოს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და განსაზღვრებების აღწერას.

<sup>34</sup> ღირებულების კოეფიციენტი არის ის კოეფიციენტი, რომელიც გამოიყენება არაფულადი ერთეულების, როგორცაა ტონა, ჰექტარი, მ<sup>3</sup> და ა.შ. ფულად ერთეულებში გადასაყვანად. ღირებულების კოეფიციენტი უნდა განისაზღვროს ფულადი შეფასების კვლევების საფუძველზე, უნდა იყოს მეცნიერულ მეთოდებზე დაფუძნებული და მათ მისაღებად გამოყენებული მეთოდები უნდა იყოს გამჭვირვალე. ამ მეთოდების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები წარმოდგენილია, მაგალითად, EU-LIFE-ის მიერ დაფინანსებულ გამჭვირვალობის (TRANSPARENT) პროექტში.

გმ 76. 67(ე) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმოს შეუძლია შეაფასოს და ინფორმაცია გაამჟღავნოს *გარდამავალი რისკების* მქონე ბიზნესსაქმიანობებიდან მიღებული წმინდა ამონაგების წილის შესახებ. ეს ინფორმაცია:

- ა) უნდა ეფუძნებოდეს ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ე.ი. ფასს 15-ის ან ადგილობრივ დონეზე საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების) მოთხოვნების შესაბამისად წარდგენილ წმინდა ამონაგებს.
- ბ) შეიძლება მოიცავდეს საწარმოს ბიზნესსაქმიანობებს ჩაშლილი სახით, მასთან დაკავშირებული მიმდინარე წმინდა ამონაგების პროცენტული წილის, დაკავშირებული რისკ-ფაქტორების (მოვლენების და კავშირების) და, თუ შესაძლებელია, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან დროის პერიოდებში მარჟის შემცირების თვალსაზრისით *მოსალოდნელი ფინანსური შედეგების* შესაბამის დეტალებთან ერთად. საწარმოს ასევე შეუძლია ბიზნესსაქმიანობების ხასიათის შესახებ ინფორმაციის დეზაგრეგირება მოახდინოს საოპერაციო სეგმენტების მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში სეგმენტების შესახებ ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისას მარჟების წვლილის შესახებ საოპერაციო სეგმენტების მიხედვით გაამჟღავნა ინფორმაცია.

#### *კავშირი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციასთან*

გმ 77. აქტივების, ვალდებულებების და წმინდა ამონაგების (რომლებიც ადვილად ექვემდებარებიან არსებით *ფიზიკურ* ან *გარდამავალი რისკებს*) მნიშვნელოვანი ოდენობების შეჯერება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლთან ან განმარტებით შენიშვნასთან (მაგ., სეგმენტების შესახებ ანგარიშგებაში) (როგორც ეს დადგენილია 68-ე პუნქტით) შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

- ა) ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე ან განმარტებით შენიშვნაზე ჯვარედინი მითითების სახით, თუ ეს ოდენობები ფინანსური ანგარიშგებაში იდენტიფიცირებადია; ან
- ბ) თუ არ ხერხდება პირდაპირ დაკავშირება ჯვარედინი მითითებით, მაშინ თითოეული მათგანის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლთან ან განმარტებით შენიშვნასთან რაოდენობრივი შეჯერების სახით ქვემოთ მოცემული ცხრილური ფორმის გამოყენებით:

არსებით ფიზიკურ ან გარდამავალ რისკებს ადვილად დაქვემდებარებადი აქტივების ან ვალდებულებების ან წმინდა ამონაგების საბალანსო ღირებულება	
კორექტირებადი მუხლები	
აქტივები ან ვალდებულებები ან წმინდა ამონაგები ფინანსურ ანგარიშგებაში	

გმ 78. საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითი **ფიზიკური** და **გარდამავალი რისკებიდან** მომდინარე **მოსალოდნელი ფინანსური შედეგების** შესაფასებლად და მდგრადობის ანგარიშგებაში წარმოსადგენად გამოყენებული მონაცემები და დაშვებები შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოყენებულ მონაცემებსა და დაშვებებთან (მაგ., აქტივების გაუფასურების შესაფასებლად გამოყენებული ნახშირბადის ფასები, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა, შეფასებები და დებულებები). საწარმომ უნდა ახსნას ნებისმიერი შეუსაბამობის არსებობის მიზეზი (მაგ., თუ კლიმატთან დაკავშირებული რისკების სრული შესაძლო ფინანსური შედეგები ჯერ კიდევ შეფასების პროცესშია ან ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის არსებითად მიჩნეული).

გმ 79. ვალდებულებებთან მიმართებით პოტენციური სამომავლო ეფექტებისთვის (როგორც ეს მოითხოვება 67(დ) პუნქტით), თუ ეს შესაძლებელია, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში გაფრქვევებით ვაჭრობის სქემების აღწერაზე ჯვარედინი მითითება უნდა გააკეთოს.

### **კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები**

გმ 80. 69(ა) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს ხარჯების შემცირების ხასიათი (მაგ., ენერჯის მოხმარების შემცირებიდან), დროის პერიოდები და გამოყენებული მეთოდოლოგია, მათ შორის შეფასების მასშტაბი, კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებები და შეზღუდვები, ასევე გამოყენებულ იქნა თუ არა **სცენარის ანალიზი** და როგორ გაკეთდა ეს.

გმ 81. 69(ბ) პუნქტის მოთხოვნით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა განმარტოს, თუ როგორ შეაფასა მან ბაზრის ზომა ან ნებისმიერ მოსალოდნელი ცვლილება ნახშირბადის დაბალი გაფრქვევების მქონე პროდუქციიდან და მომსახურებიდან მიღებულ წმინდა ამონაგებში ან ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტები, მათ შორის შეფასების მასშტაბი, დროის პერიოდი, კრიტიკული მნიშვნელობის დაშვებები და შეზღუდვები, ასევე რამდენად არის ეს ბაზარი ხელმისაწვდომი საწარმოსთვის. ბაზრის ზომის შესახებ ინფორმაცია შეიძლება რეალისტურად შეფასდეს ტაქსონომიასთან შესაბამისობაში მყოფ მიმდინარე ამონაგებთან მიმართებაში, რომელიც (EU) 2020/852 რეგულაციის დებულებების შესაბამისადაა გამჟღავნებული. საწარმოს ასევე შეუძლია ახსნას, თუ როგორ გამოიყენებს ის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ **შესაძლებლობებს** და სადაც ეს შესაძლებელია, მან ეს ინფორმაცია უნდა დააკავშიროს E1-2, E1-3 და E1-4 **გამჟღავნების მოთხოვნების** შესაბამისად **პოლიტიკების, სამიზნე მაჩვენებლებისა და ქმედებების** შესახებ გამჟღავნებულ ინფორმაციასთან.